


საერთო გაფაქი

№32 (724)
ოთხშაბათი
11 ოქტომბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.



„ვეგობ ისრაელის სახელმწიფოზე და ისრაელის მოქალაქეებზე განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმას, სიცოცხლის ხელყოფასა და უამრავი ადამიანისთვის სერიოზული დაზიანებების მიყენებას. გულითადად თანაუგრძნობ ისრაელის სახელმწიფოს მთავრობასა და ხალხს, ხოლო ყველა დაშავებულს სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი
ირაკლი ღარიბაშვილი



ირაკლი ღარიბაშვილი: „ჯარის ქალაქი“ დასრულებულია



„სამხედროების სამსახური არის ფასდაუდებელი და ჩვენ ყველანი, პირველ რიგში, მთავრობა, ხელისუფლება არის ვალდებული, რომ მაქსიმუმში გააკეთოს თქვენთვის, რომ დაფასდეს თქვენი სამსახური, თავდადება, გმირობა ჩვენი ქვეყნის წინაშე“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამხედრო მოსამსახურეებისთვის „ჯარის ქალაქში“ ბინების გადაცემის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, პროექტი ძალიან მოკლე ვადაში შესრულდა. პრემიერმა მშენებელი კომპანიის ხელმძღვანელებს, პროექტში ჩართულ ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა.

ბინების გადაცემის ცერემონიაზე პირველი ბინა სამხედრო მოსამსახურის ოჯახს სიმბოლურად პრემიერმა გადასცა.

ბინების გადაცემის საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით ასევე გამოვიდა თავდაცვის მინისტრი - ჯუანშერ ბურჭულაძე. ცერემონიას თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები დაესწრნენ.

სამხედრო მოსამსახურეთათვის საცხოვრებელი ბინების განაწილება ლოტორიის პრინციპზე დაფუძნებული განხორციელდა.

მანათას მთაზე უპრეცედენტო, მასშტაბური ბინათმშენებლობის პროექტი, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით 2020 წლის ოქტომბერში დაიწყო, ოფიცრებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად და სამხედრო მოსამსახურეებზე ზრუნვის პოლიტიკის ფარგლებში განხორციელდა.

მანათას მთაზე სამხედროებისთვის 7-სართულიანი 39 კორპუსი აშენდა, რომლებშიც 1092

ბინა განთავსდა. სამხედროებმა 50მ2 (2-3 წვერი), 80მ2 (4 წვერი) და 110მ2-იანი (5 და მეტი წვერი) საცხოვრებელი ფართის შეძენა, სულადობის პრინციპის გათვალისწინებით, უპრეცედენტოდ - შეღავათიანი პირობებით - შეძლეს.

საცხოვრებელი ფართის კვადრატული მეტრის ღირებულება 200 დოლარს შეადგენდა. შესაბამისად, სამხედროებს ერთ კვადრატულ მეტრში დაახლოებით 100 დოლარის გადახდა მოუწიათ. ამ თანხის გადასახდელად მათ საშუალება ჰქონდათ არა საბანკო გარანტიებით, არამედ უპროცენტო შიდა განვადებით ესარგებლათ.

პროექტი განგრძობითი ხასიათის იქნება. ამ მიზნით თავდაცვის კოდექსში ცვლილებები შევიდა, რომლის შედეგადაც მაიორი და ზევით ოფიცრთა შემადგენლობა, მასტერ-სერჟანტი და ზევით სერჟანტთა კატეგორია ბინას მიიღებს, რაც იქნება სამხედროების დაფასების მიმართულებით სრულიად უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომელიც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ყოვლისმომცველი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება („CEPA“) შეთანხმდა

„თქვენო უმაღლესობა, მოგესალმებით. მოხარული ვარ, რომ ხელი ეწერება საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ყოვლისმომცველი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას („CEPA“), - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობის შესახებ შეთანხმების („CEPA“) ხელმოწერის ცერემონიაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს შეთანხმება მტკიცე საფუძველს უყრის საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის უფრო მჭიდრო და კონსოლიდირებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას.

არაბთა გაერთიანებული საამიროების ვიცე-პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და დუბაის საამიროს მმართველმა - შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმმა აღნიშნა, რომ გაფორმებული შეთანხმება ახალი საექტაპო მოვლენა იქნება არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და საქართველოს ურთიერთობებში.

ცერემონიაში, რომელიც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გაიმართა, საქართველოსა და არაბთა გაერთიანებული საამიროების პრემიერ-მინისტრებმა მონაწილეობა ვირტუალურად მიიღეს.

საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობის შესახებ შეთანხმებას („CEPA“) ხელი საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა - ლევან დავითაშვილმა და სავაჭრო ვაჭრობის საკითხებში არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრმა - თანი ბინ აჰმედ ალ ზეიუდმა მოაწერეს.



„ჩვენ აქტიურად ვიწყებთ პროფესიული განათლების ინტეგრირებას სკოლებში, რაც სკოლის ასაკიდანვე განუვითარებს ბავშვებს პროფესიულ უნარებს, შესძენს მათ კონკრეტულ პროფესიას“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პროფესიული განათლების განვითარების ახალი ხედვის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ჩვენ გვქონდა არაერთი განხილვა ეკონომიკური საბჭოს ფორმატში თუ როგორ უნდა განვავითაროთ კიდევ უფრო მეტად პროფესიული განათლება. განათლების რეფორმის ჩვენი მთავარი ამოცანაა ხარისხიანი განათლება და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა განათლების სისტემის ყველა საფეხურის, ყველა დონეზე. ჩვენ განათლების სფეროში მასშტაბური ინვესტიციების განხორციელება დაიწყო. მილიარდი ლარი გამოყოფათ ბაკ-ბალების მშენებლობა- რეაბილიტაციისთვის, ასევე, მილიარდი ლარი გამოყოფათ საშუალო სკოლების განვითარებაზე, რეაბილიტაციასა და მშენებლობაზე. ეს პროცესი დაწყებულია, დაახლოებით 400 სკოლის პროექტის კონტრაქტები გაფორმებულია და მშენებლობა არის დაწყებული. რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, 2012 წლიდან მოყოლებული ჩვენ გავათხზავეთ პროფესიული განათლების ბიუჯეტი. დღეის მდგომარეობით, 30 საჯარო, სახელმწიფო პროფესიული კოლეჯია შექმნილი. 40-მდე ლოკაცია არის გამოყოფილი, 45 კერძო კოლეჯი ფუნქციონირებს დღეს ქვეყანაში და წელს რეკორდული, 95 მლნ ლარი იყო პროფესიული განათლებას ბიუჯეტი. ჯამში, 10 წლის განმავლობაში, 200 მლნ ლარი დაგზარჯეთ პროფესიული განათლების განვითარებაში

ასევე, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ აქტიურად ვიწყებთ პროფესიული განათლების ინტეგრირებას სკოლებში, რაც სკოლის ასაკიდანვე განუვითარებს ბავშვებს პროფესიულ უნარებს, შესძენს მათ კონკრეტულ პროფესიას და ამის შემდეგ უკვე მათ ექნებათ საშუალება, რომ გადაწყვიტონ თავად, გააგრძელონ თუ არა სწავლა უმაღლესი განათლების საფეხურზე“, - განაცხადა პრემიერმა.



ნაბიღიერ ქვეყანას სჭირდება საკუთარი უსაფრთხოება



მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე „საერთო გაზეთთან“ საუბრობს პოლიტიკოსი ნათუნა ხოშბერიძე.

– მინდა, იმ ბარბაროსული ფაქტის შეფასებით დავიწყოთ, რაც ახლა ისრაელში ტერორისტულმა ორგანიზაციამ „ჰამასმა“ წამოიწყო. რატომ ხდება, რომ ბოლო დროს თითქოს მთელი მსოფლიო ომის სურვილით არის შეპყრობილი და ქვეყნები საერთო ენასაც აღარ ეძებენ შეთანხმების მისაღწევად?

– რაც ხდება მსოფლიოს ამ რეგიონში, სამწუხაროდ, მოულოდნელი არ ყოფილა. ჩვენ ვიცით, რა გადაიტანა თურქეთმა მისი პრეზიდენტის არჩევის პროცესში, გვანსოვს, რომ ორჯერ იყო მაიდანის მოწყობის მცდელობა ნეთანიახუს პირობებში, როდესაც მან წინააღმდეგობა გაუწია სასამართლოს რეფორმას. მე ხშირად ვიფიქრებ შედარებისთვის ამ ფაქტს, რომ სასამართლო რეფორმის საბაბით ისრაელს უპირებდნენ მაიდანის მოწყობას და ხელი-სუფლების დამოხრას. ახლა უნდა ველოდოთ რეაქციას ეგვიპტიდან და ირანიდან, უნდა დაველოდოთ, რა პოზიციას დაიკავებს მსოფლიოს მუსულმანური სამყარო და რაში გადაიზრდება ეს კონფლიქტი, რაც ადამიანური თვალსაზრისით, შორიდანაც კი საშინელი სანახავია. შეიძლება, საერთოდ უცებ მოხდეს ომის ლოკალიზება და შეთანხმების შედეგად მალე დაწყდეს სიტუაცია.

ხოვადად, მსოფლიო არის შერყეული. დაახლოებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირის ქვეყნებმა თავი მოიქციეს იზოლაციაში, რადგან უკვე დაწყებული იყო ლიბერალების მხრიდან თავსმოხვეული პოლიტიკის გავრცელების მცდელობა, სხვადასხვა ბანაკი ღრმად იდგამდა ფეხებს. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი იყო ერთ-ერთი ის ქვეყანა, სადაც ლიბერალიზმმა შეაღწია. ძალიან ბევრი გლობალური, დამლუპველი პროექტი შემოდიოდა სწორედ რუსეთიდან საქართველოში და ჩვენთან იქაური პოლიტიკოსების გავლენა მკაფიოდ იგრძნობოდა.

ამ ბოლო პერიოდში კი, პრაქტიკულად ათწლეულობით ნაშენები მსოფლიოს დაპყრობას ცდილობენ გლობალიზაციის ეგიდით, „ელჯიბიტი“ პროპაგანდით, რომელსაც თან ახლავს ჩვენი ქართული მენტალობისთვის აბსოლუტურად მიუღებელი ფაშისტური ელემენტები. მსოფლიოში უკვე გამოიკვეთა გარკვეული ძალები, რომლებიც ამას უპირისპირდებიან, არა მხოლოდ საკუთარი ეროვნული ღირებულებების,

ტრადიციების, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ღირებულებების დამოხრის ხარჯზე, არამედ, ამ თავსმოხვეული წარმოუდგენელი იდეოლოგიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხდება ქვეყნების გაერთიანება. ჩვენც ის ქვეყანა ვართ, რომელსაც, როგორც შეუძლია, ისე იცავს თავს ამ უბედურებისგან. სულ რაღაც ერთი ათეული ადამიანია საქართველოში, ვისი ყოველც შეძლეს, ვინც სული გაყიდა, სამშობლო გაყიდა, საკუთარი ღირსება გაყიდა... და დარბიან ახლა ეს ადამიანები, ვიღაცას რაღაცას ჰპირდებიან და ცდილობენ, ქვეყანაში საპროტესტო ტალღა ააგროონ. თუმცა, ერთი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ვითარდება, იზრდება, მრავლდება და აქვს საკუთარი ღირებულებები. ის აუცილებლად მოიმორებს, განდევნის თავისი წიაღიდან ამ მისთვის მიუღებელ ნაწილს და ერთხელაც, ეს ადამიანები სამშობლოს გარეთ აღმოჩნდებიან.

– ვიდრე სამშობლოს გარეთ აღმოჩნდებიან, იმედა, იმის განხორციელების საშუალებას არაფერს მისცემს, რასაც სამშობლოს წინააღმდეგ გვემავლებს!

– ჩვენ არ ვიცით, ვერაფერობით, რა გააკეთეს, მათ ეს არ უთქვამთ, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურმა თავისი მოვალეობა შეასრულა: მიმართა ხალხს, უთხრა, რომ ყველაფერს აკეთებენ, რათა ამ საფრთხისგან ვიყოთ დაცული.

კონიერი საზოგადოება ახლა ფიქრობს, ეშხადება, ერთმანეთს უკავშირდება და მზადაა, არ დაუშვას ქვეყანაში ხელისუფლების ძალადობრივი გზით გადატრიალება. იმის გამო, რომ უკრაინას და აშშ-ს რაღაც შეეუშუსუქოთ, საქართველოში მეორე ფრონტი არ გაიხსნება, ამის წინააღმდეგ სრულიად ერთი გავერთიანდებით და ამის უფლებას არავის მივცემთ.

– ისე მოხდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ჩუგოშვილისა და კოპლეშვილის დასაცავი გახდა მის წინააღმდეგ გამოცხადებულ იმპიჩმენტის პროცედურაზე, რომელიც უკვე დაიწყო. თქვენი აზრით, როგორ იმოქმედებს ეს ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობაზე?

– ერთდროულად თქვა დაახლოებით ერთი წლის წინ, 30 წელია, ევროკავშირში გაწევრებისას ველოდებით და არ გვადირსეს, ამ მოლოდინის რეჟიმს მხოლოდ ჩვენს

გამოსაყენებლად ინარჩუნებენო. ასე იქნება ჩვენი ქვეყნისთვისაც, კავშირში გაწევრების მოლოდინი იქნება მუდმივი ვაჭრობის თემა საქართველოსთვის. ეცდებიან, არარეალური მოთხოვნებით პრობლემები შეგვიქმნან, ჩოქბჯენში დაგვაყენონ და ამის გამო ბევრი რამ დავთმოთ.

ახლა ამ სტატუსის გამო ითხოვენ, რომ თვალები დავხუჭოთ, საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან, კონსტიტუციის დარღვევაზე და უარი ვთქვათ მის იმპიჩმენტზე, მაშინ, როდესაც ამერიკაშიც ანალოგიური მდომარეობაა და შეიძლება უარესიც! რატომ უნდა დავხუჭოთ თვალი იმაზე, რომ პრეზიდენტად გვყავს შემოგზავნილი მტერი, უნაშუსო დელეგაცი, რომელიც ყველაფერს კადრულობს, ალბათ, იმის გამო, რომ იქ სადღაც შეილება დაუსაქმეს, ფულს აძლევენ, ათას რამეს ჰპირდებიან... თავისი ცხოვრების წესით უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს და ბევრი ვალი აქვს დაგროვილი ამ ქვეყნის წინაშე!

– როგორც მამუკა მდინარაძემ აღნიშნა, ოპოზიცია ირაკლი კობახიძის ერთი მარტივი ხუმრობით ჩამოიშალა, როცა მმართველი

ხანდახან ვფიქრობ, ხომ შეიძლება, რომ ამ პოლიტიკურ გუნდს, ღარიბაშვილის მეთაურობით, ცოტა უფრო მაღალი დონის ოპოზიცია ჰყავდეს-მეთქი და გული მწყდება. ხომ არ შეიძლება მართლა ჭიჭე ვაშადის, ხაბეიშვილის და წითლის დონეზე იყოს ოპოზიცია დარჩენილი. ოპოზიცია იმისთვის სჭირდება ქვეყანას, რომ ძლიერი და გონიერი უნდა იყოს, რათა მმართველი გუნდი გააძლიეროს, მისცეს იმის საშუალება, რომ მეტი იმუშაონ, ქვეყნისთვის მეტი გააკეთონ... არადა, ამ წყაღვალეულებს რომ



არი სოსხალი ორბანიზმია, რომლის ვითარდება, იზრდება, მრავლდება და აქვს საკუთარი ღირებულებები

პარტიის თავმჯდომარე განაცხადა, რომ „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონი პრეზიდენტის ხელმოწერის გარეშე შევა ძალაში. როგორც ჩანს, არც იუმორი ესმის კარგად ოპოზიციას!

– ირაკლი კობახიძე არის პროფესიონალი კონტიტუციონალისტი, პოლიტიკოსი და მმართველი პარტიის თავმჯდომარე, მედგრად კარგად იცავს კონსტიტუციას, ამით კი ჩვენს სახელმწიფოს და სახელმწიფოებრიობას იცავს. კანონს ნამდვილად არ გავცნობივარ, მაგრამ მე აქ იუმორს ვერ ვხედავ, რადგან, რაც კობახიძემ თქვა, არის ჭეშმარიტება! როცა გყავს რეზიდენტი პრეზიდენტად, მტერი - პრეზიდენტად, მოლაპატე და აგენტი - პრეზიდენტად, მანიფესტაციის კანონი მასთან შეთანხმებით რატომ უნდა შეიმუშაო? ასე რომ, იუმორში, ხშირად, ჭეშმარიტება იფარება.

უფრო, რა უნდა ქნა!

– საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ყოველი ვიზიტი საზღვარგარეთ დამამძიმებელ პროგნოზს იძლევა. ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოსა და მის ხელისუფლებას დიდი მხარდაჭერა აქვს ევროპელი ლიდერების მხრიდან, რაც, სავარაუდოდ, სტატუსის მიღების ერთგვარ წინაპირობადაც შეიძლება მივიჩნიოთ...

– საქართველოს პრემიერ-მინისტრი ძალიან დიდი სიმპათიებს იმსახურებს მსოფლიოს ლიდერი პოლიტიკოსების თვალში, რადგან ვფიქრობ, უკვე ყველამ შენიშნა და სათანადოდ დააფასა მისი პროფესიონალიზმი. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პოლიტიკოსებთან ისე შედის დებატებში, ისე ღირსეულად გამოდის ურთულესი სიტუაციებიდან, ისე წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას, რომ ნამდვილად მემამაცაა. ეს ადამიანი არის კარგი დიპლომატი, საკმაოდ გონივრული პოლიტიკური გადაწყვეტილებებით.

რაც შეეხება ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება-არმიღების საკითხს, როგორც აღვნიშნე, ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს. აბსოლუტურად არ მაინტერესებს სტატუსის თემა, რადგან ის მე ვერ გადამიწყვეტს თავდაცვისუნარიანობის საკითხს, რადგან ვერც ერთ თავის ქვეყანას ვერ გადაუწყვეტა, ის ვერ გადაწყვეტს ეკონომიკური უზრუნველყოფის საკითხს, რადგან კანდიდატობის მოლოდინში ჩემს ქვეყანაში არაფერი შეიცვლება.

მისცეს ეს სტატუსი ერთი წლის

წინ მოლოდინსა და უკრაინას და დაქცევასა და დამხობის მეტი არაფერი გაუვლიათ ამ ქვეყნებს ამ პერიოდში. ამ ქვეყნებში ეს სტატუსი სასიკეთოდ არავის გამოდგომაა. სხვათა შორის, მაკრონმა ძალიან მნიშვნელოვანი რამ თქვა, ვფიქრობ, უნდა შევიმუშაოთ ჩვენი საკუთარი უსაფრთხოების არქიტექტურა, ანუ საფრანგეთიც კი, რომელიც ევროკავშირში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, საკუთარი უსაფრთხოების არქიტექტურაზე საუბრობს, რომელიც მის ქვეყანას სჭირდება. როცა საფრანგეთი

ამას ამბობს, როცა გერმანია დაქცეულია, ეკონომიკა ჩამოშლილია და 38 ტანკის ამარა არის ამხელა სახელმწიფო დარჩენილი, - მოდი, მე ნურაფერს დამამაძლიან. წინასწარ ნურავინ ნურაფერს გვიკარნახებს და ნურც ჩვენ მივიკერებთ შუბლზე ვიღაცის დროშას. კეთილი ინებონ და აღიარონ საქართველო ისეთი, როგორიც არის, თავისი კულტურით, ისტორიით და ღირებულებებით.

ასე რომ, ამაზე სასაუბროდ ჩემთან ნუ მოცდებიან. ამ საკითხზე იმან ისაუბროს, ვისაც კონკრეტული დავალება აქვს მიღებული და ფული აქვს აღებული.

– მესმის თქვენი, ქალბატონო ხათუნა, მაგრამ სხვა შემთხვევაში, სად ხედავთ გამოსავალს?

– ძალიან ბევრი ვართ კონსერვატორები, ადამიანები, ვინც მზად ვართ, ვიბრძოლოთ ჩვენი ქვეყნისთვის, მომავლისთვის, ოჯახებისთვის... ვიბრძოლოთ იმ მთავარი, საკრალური მნიშვნელობის მატარებელი სლოგანისთვის, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დაგვიტოვა: ენა, მამული, სარწმუნოება! და მოდის დრო, როდესაც ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ. უნდა წამოვიდეს ინდივიდუალური ინიციატივები. მე ჩემს ბევრ მეგობარს დავუკავშირებდი და ასევე, ძალიან ვთხოვ ყველა იმ ადამიანს, ვინც მზად არის ამისათვის, შემეხმადონ სოციალური ქსელის საშუალებით ან პირადად და დავდგეთ ერთად, საქართველოს, ჩვენი ოჯახების და ქვეყნის მომავლის გადასარჩენად!

ნონა ქარქაშაძე





გვესუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე:

შევე უნდა აღიგავოს, აღიკვეთოს. მე თუ მკითხავთ, საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ბაზა უნდა შეიცვალოს, გამკაცრდეს. მათ შორის, აუცილებლად უნდა აღდგეს სამშობლოს დაცვის მუხლი, რაც თავის დროზე სააკაშვილმა გააუქმა. მით უმეტეს, რომ ჩვენ ბევრი აუდიო-ვიდეო ფარული მიყურადების მასალა გვაქვს ნანახი. შესაბამისად, კარგად ვიცით სააკაშვილისა და მისი ბიძის განწყობა, ასევე, მოსმენილი გვაქვს იმავე სააკაშვილისა და სოფო ნიჭარაძის დიალოგი, ასევე, გიორგი ვაშაძის, ბოკერია, მერაბიშვილის და სხვების საუბრები. ყველაფერი ცხადზე ცხადია.

მავენ საქართველოში 7-8 მარტის ესკალაციის შემდგომი ტალღის აუტორებს ახალგაზრდების უშუალო მონაწილეობით. შემთხვევით როდი შეიძინა ლახარე გრიგორიძის თემამ აქტუალობა. ეს ახალგაზრდობისთვის დამატებითი მოტივაციაა. მობილიზებული არიან სხვადასხვა ფონდებიც, რომლებიც ესკალაციას ნებისმიერი გზით დააფინანსებენ. ამის მაგალითია აშშ-ის საელჩოს მიერ გაკეთებული განცხადება პრემიერის შემფოთების პასუხად სერბი აქტივისტების მიერ ჩატარებულ ტრენინგებთან, ლექციებთან დაკავშირებით. საელჩომ ის კი არ აღნიშნა, რომ საქართვე-

პირადობის მოწმობებს ბეჭდავდა, ხოლო მეორე — ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან კოორდინაციაში ამ პირებს კონკრეტულ მისამართებზე ანაწილებდა. ამიტომაც, კონკრეტულ მისამართზე ადამიანი უცებ აღმოაჩნდა, რომ უცხო პირები იყვნენ მიწერილნი. საზოგადოებამ ამ საკითხის გარკვევა დაიწყო და აღმოჩნდა, რომ სწორედ მაია კოპალეიშვილისა და მისი გუნდის მიერ მოფიქრებული იყო ასეთი სქემა: თუკი ადამიანი საჯარო რეესტრში ორ მოწმეს მიიყვანდა, ეს საკმარისი იყო, რათა იგი ნებისმიერ, სასურველ მისამართზე დარეგისტრირებულიყო. ასე აღმოჩნდა ათასობით ადამი-

ტიკაში ჩართულობას უზრუნველყოფს. ამ ტიპის მოთხოვნებზე საქართველოს შეურიგებელი პოზიცია აქვს. ასეთი სოციალური ექსპერიმენტების ადგილი ჩვენს ქვეყანაში არ არის.

მიმდინარეობს სპეკულაცია თემაზე, თითქოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა ევროკავშირთან ინტეგრაციას ხელს შეუშლის. როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა: საქართველოს კონსტიტუციაზე მაღლა ვერცერთი პოლიტიკური განცხადება ვერ დადგება, რომელიც მიმართულია იქითკენ, თითქოს, პრეზიდენტის იმპიჩმენტის ინიცირება უსაფუძვლოდ ხდება. მაგანი მაქსიმალურად

აუსილავლად უნდა აღდგეს საზოგადოლოს დაცვის მუხლი

— პირველ რიგში, მინდა სამომავარი ვუთხრა ისრაელის მთავრობას და ისრაელელ ხალხს იმ მიმედ განსაცდელის გამო, რომელიც მათ თავს დაატყდათ. ის, რაც შეიძლება ოქტომბერს მოხდა, თანამედროვე მსოფლიო წესრიგის არქიტექტურას საერთოდ ვერაფერს აყენებს და პირდაპირ კავშირშია საქართველოს მომავალთანაც. წარმოიდგინეთ, ორასმილიონიანი ისრაელის ოკეანე ათმილიონიანი ისრაელის უპირისპირდება. ისრაელი ცივილიზებულ სამყაროში მარტო არ არის. მას ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. შესაბამისად, ეს ომი არ არის მხოლოდ შურისძიების ერთგვარი ტერორისტული აქტი, ან ეთნიკური კონფლიქტი რელიგიური ნიადაგზე. ეს გახლავთ ფართომასშტაბიანი, რეგიონის ყველა ძირითადი აქტორის ჩამორევი სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც შეიძლება რეალურად გახდეს (მით უფრო, უკრაინის კრიზისის ფონზე) მესამე მსოფლიო ომის დაწყების სერიოზული პოლიტიკური შექმნის მიმართ.

გარკვეული ძალებით წახალისებული ფსევდოობოციანია, რომელიც გლობალური ომის პარტიის ადვოკატი, ყველანაირად ეცდებოდა, საქმე ბოლომდე მიეყვანა, მაგრამ ისრაელის კონფლიქტმა მთლიანად შეცვალა არსებული რეალობა არამხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ მსოფლიოში. ჩვენი უდიდესი მონაპოვარი ნამდვილად არის მშვიდობა, მყარი სტაბილურობა, რასაც შენარჩუნება სჭირდება. დიან, ჩვენ ვგვირდება მშვიდობა, სტაბილურობა, განვითარების შეუქცევადობა, პოლიტიკური და სოციალური ეკონომიკური მდგრადობა, სამეზობლო პოლიტიკის დალაგება, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური ფასის განსაზღვრა.

ლოს ხელისუფლების შემფოთება მისთვის ყურადსადებია, არამედ განაცხადა: ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას მომავალშიც დაეაფინანსებთ, ვინაიდან ეს დემოკრატიის შეუქცევადი პროცესია. როცა აშშ-ის საელჩოს მხრიდან ასეთი უტიფარი განცხადება კეთდება, ყველაფერს უნდა ველოდით.

ანი კონკრეტულ მისამართებზე მიწერილი, რათა შემდგომ ყალბად დაბეჭდილი პირადობის მოწმობების გამოყენებით ამ არარსებულ ფანტომებს ხმა მიეცათ. ამის შედეგად არჩევნების შედეგები 15-18%-ით განსხვავდებოდა რეალური მონაცემებისგან. კოპალეიშვილი კი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იყო არჩევნების გაყალბების სქემატურ სისტემასთან, დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში თავს იწონებს, როგორც პრეზიდენტის ადვოკატი. დადგება დრო,

რად ცდილობს საზოგადოების იმ ნაწილის მოტივირებას, რომელთაც ერთხელ უკვე გამოხატეს პროტესტი 7-8 მარტს. პროტესტანტების რაოდენობა საკმაოდ ბევრი იყო, ამიტომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ გარკვეულ ძალებს იმედი მიეცათ, რომ იგივეს გამეორებას შეძლებენ. ისინი მაქსიმალურად ეცდებიან, ხალხის ქუჩაში გამოყვანას.

— სუს-ის განცხადების შემდეგ პარლამენტმა შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ კანონი მიიღო...

— საკონსტიტუციო სასამართლომ უზრახიშვილის საქმეზე სამდღიანი განხილვა დაასრულა. რა შთაბეჭდილება დაგიტოვებთ პრეზიდენტის წარმომადგენლების მიერ მოყვანილმა სამართლებრივმა არგუმენტებმა?



სერბეთიდან მოწვეული ორგანიზაციის აქტივისტები დიად საუბრობდნენ, როგორ და რა

საქართველოში შიშობენ, რომ დესტაბილიზაციური პროცესები დაიწყება, პოლიტიკურ ოპოზიციად წოდებული თხუთმეტი გეი-პოლიტიკური პარტია დასავლელ პარტნიორებთან ერთად შეძლებს ქვეყანაში მაიდნის მოწყობას. ამას მკაცრი, რკინის ხელის პოლიტიკის გატარებით, წერტილი უნდა დაესვას. ვფიქრობ, ეს საღად მოაზროვნე საზოგადოების — ყველაზე დიდი ნაწილის კატეგორიული მოთხოვნაა. დიან, წერტილი უნდა დაესვას ყველა სახის სპეკულაციას, ინსინუაციას და ა.შ. როგორც კი სპეცსამსახურებისთვის ცნობილი გახდება ნებისმიერი ტიპის საფრთხის შესახებ, ეს დასაწყის-

— ზოგადად, ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას დიდი რაოდენობის ხალხის მობილიზაცია არ სჭირდება. მთავარია მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რაც გარკვეული ბირთვის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს, რომელიც საკუთარ თავზე რთულ მისიას აიღებს. ფერადი რევოლუციები ასე ხდება — იწყება მცირე გუნდით და კრიტიკულ მომენტში ხვავდება. აზვავების პროცესს ხელს დიდძალი ფინანსები უწყობს. უკრაინაში 2014 წელს ამ მიზნისთვის ხუთი მილიარდი დოლარი იყო მობილიზებული. ანალოგიურად, გვე-

— 2017 წელს, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, მეც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი გახლდით. ჩუგოშვილი ამ კომისიის მდივანი იყო, რომელიც სხდომებს საერთოდ არ ესწრებოდა. რაც შეეხება მაია კოპალეიშვილს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის ინტერესებს იცავს, ადვილად მოადგილე იყო. მას უშუალოდ საარჩევნო სამართლის საკითხების რეგულაცია ევალებოდა. კოპალეიშვილმა შეიმუშავა გეგმა, რაც გულისხმობდა ამა თუ იმ მისამართზე რეგისტრირებული მოქალაქის ნების გარეშე სხვა პირის მიწერის შესაძლებლობას. ეს პრობლემა დიდხანს მოუგვარებელი იყო. მოსახლეობას უკვირდა: თუ როგორ აღმოჩნდა მათ მისამართზე ესა თუ ის პიროვნება.

როდესაც ეს პოლიტიკური მაფია თავიდან ბოლომდე მხილებული იქნება.

ვითარებაში ჩნდება საზოგადოებაში ისეთი მუხტი, რომლის კულმინაციაც ხელისუფლების ჩამოგდებაა. აი, ასეთი ლექცია-სემინარები ჩაატარა სერბი მოქალაქეების ერთმა ჯგუფმა. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციების უკან ის პირები დგანან, რომლებიც 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ დროს აქტიურობდნენ და სოროსის ფონდის მიერ დაფინანსებული „ემპარას“ სახელით იყვნენ ცნობილნი. „ემპარას“ აქტივისტები მოგვიანებით საჯარო პოლიტიკაში გადავიდნენ. შემთხვევითი როლი დასახელდნენ კონკრეტული ორგანიზაციის ლიდერები, რომლებიც სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ასოცირებული პროფესორების მანტიით არიან შემოსილნი. შემთხვევით არც „ფრანკლინის კლუბზე“ ვიფილა საუბარი, არც ილიაუნის ასოცირებულ პროფესორ გიორგი მელაძეზე, რომელიც სერბული ორგანიზაციის მასპინძელი გახლდათ.

სწორედ მოგონილი გვარ-სახელებით გაცემული პირადობის მოწმობებით ხდებოდა ხმის მიცემა არჩევნებში, რომლის უკან გიორგი ვაშაძე იდგა. ბათუმის კულ-ის მაშინდელ უფროსს თემურ პატაროძეს ათი ათასი ყალბად დაბეჭდილი პირადობის მოწმობა ამოუღეს. იცით, გაყალბება რაში გამოიხატებოდა? — განა იმაში, რომ პირადობის მოწმობები ჩუმიად, სარდაფში იყო დაბეჭდილი, არა, ეს სტამბური წესით, იუსტიციის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ დაიბეჭდა, ოღონდ, მასში ჩაწერილი გვარ-სახელები მოგონილი იყო. ეს გიორგი ვაშაძისა და მაია კოპალეიშვილის ტანდემის შედეგი იყო. ორივე ადვილად მოადგილე გახლდათ. ოღონდ ერთი პასუხისმგებელი იყო სამოქალაქო რეესტრზე, რომელიც უშუალოდ



თამარ შველიძე
555 23 28 24

ევროს კავშირმა საერთაშორისო



„საერთო გაზეთის“ სტუმარია კინორეჟისორი მკობა ხაინდრაძე:

— ბატონო გოგა, ისრაელში განვითარებული მოვლენებით დავიწყეთ. რა ხდება რეალურად, ვისი ხელი ურევია ამ ყველაფერში და რა მოხდება მომავალში?

— ჯერ დასკვნების გაკეთება ადრეა. ეს მიმდინარეობს და ხანგრძლივი იქნება, შეიძლება, პლანეტარული მასშტაბის.

დამერთმა დაგვიფაროს!

— ბატონო გოგა, ესპანეთში მსოფლიო ლიდერების შეხვედრას ჩვენი პრემიერიც ესწრება. დარბაზშია თუ აღნიშნა, რომ ევროპის მხრიდან მზავრულ დამოკიდებულებას არ შეეგუება. მსოფლიო ლიდერებმა მას სტატუსის მონიჭების კუთხით მხარდაჭერა აღუთქვეს. თქვენ, რა მოლოდინი გაქვთ?

— საქმე ისაა, რომ თავად ევროკავშირი ძალიან სერიოზულ კრიზისს განიცდის, ამის დასტურია თუნდაც საქართველოსთან მიმართებით მიღებული რეზოლუცია, რომელსაც 550-მა ევროს დეპუტატმა ხმა ისე მისცა, რომ შინაარსს არც გასცნობია და ამის გამო უხერხულობაც არ შექმნიათ. რამდენიმე დღის წინ ანალოგიური რეზოლუცია მოაწერეს ხელი აზერბაიჯანთან მიმართებით, სადაც ეთნიკურ წმინდაზა საუბარი, თუმცა ამის დამადასტურებელი

პოტენციალი, სოფლის მეურნეობა, ოკუპირებული რეგიონები. ამ განსაცდელის დროს რას სთავაზობს ევროს კავშირი უკრაინას?! იარაღი, იარაღი და იარაღი! და რა? რა მოაქვს ამ „დახმარებას“, უკრაინელი ხალხისთვის სისხლის, ცრემლის და უბედურების გარდა?! უკრაინელი ბიჭები, კაცები და ქალები საკუთარი შიშებისა და უსაფრთხოების ფარად ამოიყენეს! იმის მაგივრად, რომ ევროპის 27-მა მოწინავე სახელმწიფომ ძალისხმევა მშვიდობის დამყარებას და ქვეყნის გადარჩენას მოახმაროს, პირიქით, უპერსპექტივო ომისკენ აქეზებენ! სამარცხვინო, ლაჩრული პოზიციაა! ეს კავშირი საკუთარ ავტორიტეტს, ძალას და ფუნქციას კარგავს ისევე, როგორც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი აშშ, სადაც სრული პოლიტიკური ქაოსია. ჩვენთვის და მთელი მსოფლიოსთვის ეს კარგი როდია, მაგრამ რეალობაა, რაც უნდა გაეთვითცნობიეროთ, გავითვალისწინოთ და, აქედან გამომდინარე ვიმოქმედოთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ხელისუფლება სწორედ ასე იქცევა. 68 წლის კაცი ვარ და ჩემი ცხოვრების განმავლობაში ძლივს მოვესწარი იმას, რომ ვარ სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქე, რომლის ხელისუფლებაც ემსხურება საკუთარ ხალხს, მის ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე მტკიცედ იცავს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, მთავრობის პრემიერი ისე წარმოაჩენენ ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც ეს მის ისტორიას, წარსულს, აწმყოსა და მომავალს ეკადრება.

გრანდაში ჩატარებულ ევროპულ თავმჯდომარის თვალს ვადევნებდი, სადაც ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლები: ბორელი, მიშელი, ფონ დერ ლაიენი და სხვები, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ ოპტიმისტურ და კეთილგანწყობილ განცხადებებს აკეთებ-

რათა თავისი ბატონების კეთილგანწყობა, უსაფრთხოებისა და თაღლითობისთვის დაუსჯელობის გარანტიები გამოიმუშაონ.

უბედურება ის არის, რომ ამ ყველაფრის უკან აშშ-ის საელჩო და მისი ახლანდელი ადმინისტრაცია დგას. საქართველოში რევოლუციური სცენარის განხორციელება სწადათ, რათა ეს თაღლითები, ხელის ბიჭები და გოგოები თავზე დაგვასვან. როგორც მიმა პრეზიდენტოფილი ეტყობათ: ნურას უკაცრავად! ჩვენთვის არც სცალიათ, თავისი გასჭირვებით! პრეზიდენტი ბაიდენი ცოლსა და ცოლის დას ერთმანეთისგან ვერ არჩევს, გასასვლელ კარს ვერ პოულაბს. ასეთი ჩერხენკო მახსოვს საბჭოთა კავშირში, როგორ და-



ამთავრა იმ ქვეყანამ - ისიც. დღეს აშშ საბჭოთა კავშირს დაემსგავსა. ლიდერებიც და შიდა თუ საგარეო პოლიტიკის შედეგებზეც ამაზე მეტყველებს. ამის მაგალითია საქართველოში USAID-ი და ელჩი დენანი რასაც კადრულადიზმს და კადრულაბს. ეს ორგანიზაცია საქართველოში რევოლუციურ

ვიდეთ. დააკვირდით, ამერიკის აგენტურის მხრიდან საქართველოზე როგორი შტურმი ხორციელდება ჩინეთთან ჩვენი მეგობრული და სტრატეგიული თანამშრომლობის წინააღმდეგ.

ამას წინათ ცოლ-ქმარმა უსუფაშვილმა და ხიდაშვილმა საერთაშორისო კონფერენცია გამართეს, სადაც ჩინეთიდან მომავალ „საფრთხეებზე“ ისაუბრეს. ამ დონისძიების ორგანიზატორი მათი ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეა“ იყო. პატარა ქვეყნების სირთულეებზე ბჭობდნენ, ჯიჯიბები, დღევანდელ მსოფლიოში. მომხსენებლები ყველა ტაივანიდან ჰყავდათ მოწვეული. რომელ ქვეყანას გულისხმობდნენ, ნეტავ, თავინათ გამოსვლებში, ტაივანს ხომ არა?! ვინ

შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება, ამის პოტენციური გარანტიია! ეს ყველას ესმის და, პირველ რიგში, აშშ-ს. სხვა რომელ ქვეყანას შეუძლია ამ კუთხით რუსეთზე ზეგავლენის მოხდენა, იქნებ, გვიტანს ხიდაშვილმა და უსუფაშვილმა, ან მათმა ამერიკელმა ბატონებმა?! არსებობს მეორე ქვეყანა, რომელსაც რუსეთი ვალდებული იქნება, რომ მოუსმინოს?! ვიმეორებ, ვალდებული! რუსეთისთვის დღეს ჩინეთის როლი გადამწყვეტია! აქ კი ისტერია აქვთ ატეხილი პროვოკატორებს: ჩინეთთან სტრატეგიული ურთიერთობა საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგებაო. ევროკავშირსაც აქვს ჩინეთთან სტრატეგიული ურთიერთობა და ეს არ ეწინააღ-

ძლივს მოვესწარი იმას, რომ ვარ სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქე, რომლის ხელისუფლებაც ემსხურება საკუთარ ხალხს, მის ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე მტკიცედ იცავს.

არცერთი ფაქტი არ გაუღებუბლა.

ჩვენ ასეთი უწყობა საბჭოთა კავშირში გვაქვს გავლილი, სადაც აღარასდროს დავბრუნდებთ. ამ კავშირს სამართლიანობის გასაღები სრულიად დაკარგული აქვს. მას პრობლემები აქვს პოლონეთთან, უნგრეთთან, სლოვენასთან, ბალკანეთის ქვეყნებთან, თურქეთთან. ცალკე საკითხია უკრაინა. ევროპის შუაგულში სახელმწიფო ნადგურდება. სახეზეა მილიონზე მეტი დაღუპული და დასახიჩრებული პირი, 12 მილიონი ქვეყნიდან გახიზნული, ათეულობით მილიონი ქვეყნის შიგნით გადაადგილებული და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი, განადგურებული ინფრასტრუქტურა, სამრეწველო

დნენ. იქ ჩვენი მხოლოდ ოთხი ტელეარხის მიკროფონი იყო — „საზოგადოებრივი არხი“, „იმედი“, „რუსთავე-2“ და „ატარა TV“. ქართული ტელევიზიის კაპოები, რომლებიც ოპოზიციურ ტელეარხებზე იწოდებოდნენ, სინამდვილეში კი კვხერაშვილის, მერაბიშვილის, ხაზარაძის, ჯაფარიძის და ჭუჭუა წერეთლის თაღლითობით ნაშოვნი ფულით ფინანსდებოდნენ, რის საინაცვლოდ აკმაყოფილებენ მათი და კრიმინალი სააკაშვილის ვნებებს?! ისინი ამ სამიტს არ აშუქებდნენ, არ აინტერესებთ. სამაგიეროდ, „ტვიზი“ სასოწარკვეთილ კომენტარს აცხობს, მაკრონი საუბრისას დარბაზში სცუდად უყურებდაო. ეს არის რეალური აგენტურა და მათი ტელეფარი,

სცენარებს აფინანსებს. ვინ ვგონივართ ამ უმცირესში? ვერ ვხედავთ და ვერ ვხვდებით, რას აკეთებენ, თუ რა? საკუთარი ქვეყანა თავზე ენგრევათ, რევოლუციანე იქ იდარდონ, თავს მიხედონ. ახლანახან ბაიდენმა განაცხადა: მექსიკის საზღვარზე კედელი უნდა ავაშენო. ტრამპი ხომ აშენებდა და ამის გამო ლამის დახვრიტეს. განა შეიძლება ქვეყანას, რომელიც საგარეო ასპარეზზე ვიქტორია ნულანდის ჭკუაზე დაღის, კარგი მომავალი ჰქონდეს?! ბრიტანელების გამოთქმაა: „პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მტრები და მეგობრები, არსებობს მუდმივი ინტერესები“. ჩვენც ჩვენი პოლიტიკა ამ წესზე უნდა ავაგოთ. აქედან უნდა გამო-


ჭამს ამ ფანდებს?! ამერიკელებს რისთვის სჭირდებათ ტაივანით სპეკულაცია, გასაგებია. ტაივანი მათთვის ჩინეთთან დაპირისპირების იარაღია! შენ სად ყოფ თავს?! ვის უპირისპირდები, ჩინეთს?! რა მისცეს ასეთი ბატონებმა, რომ უღირთ, საკუთარ სამშობლოს, მომავალს ზურგში დანა ჩასცხონ?! ეს ხომ არადარების პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა(!), რაც ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის რუსეთის მიერ ოკუპირებულ და „დამოუკიდებელ ქვეყნებად“, აღიარებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ვგულისხმობ, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია. ტაივანი ჩინეთის სუვერენული ტერიტორიაა და არა პატარა ქვეყანა(!), რასაც საქართველო ცალსახად აღიარებს, ისევე, როგორც ჩინეთი - საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ჩინეთს უტყვენ ტაივანის თემის გამოყენებით, ერთადერთ ქვეყანას, რომელსაც შეუძლია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან მიმართებით რუსეთზე ზეგავლენა იქონიოს. ჩინეთის ელჩმა ოფიციალურად განაცხადა: ჩინეთი მზად არის, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარებაში საქართველოს დაეხმაროს. პრემიერ დარბაზში ვისთვის ვიზიტი და პრეზიდენტ სი ძინპინის განცხადება, სტრატეგიული პარტნიორობის

მდგევა ევროკავშირის ინტერესებს და საქართველოს ჩინეთთან ურთიერთობა რატომ ეწინააღმდეგება ჩვენს ინტერესებს?! პატრონებს ფული აქვთ გადახდილი ამ მოღალატურ და ვალაბების შესრულებაში, ესენიც პირნათლად ასრულებენ. აშშ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, თუმცა, ჩინეთისგან განსხვავებით, მისი ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი — USAID-ი ჩვენთან რევოლუციურ პროცესებს აფინანსებს. თან ცინიკურად ცრუობენ: ონკოლოგიურ ავადმყოფებსა და მოზუცებს ვატრინინგებდითო. ვინ ვგონივართ ნეტავ, ამ უმცირესში? მათი ქვეყნის ასაკის, ჩემი წინაპრების დარღული ხე დგას ჩვენს საგვარეულო მამულში. ჩვენ გვახსოვს, საიდან მოვიდვართ და რანი ვართ. ისევე, როგორც ჩინელებს - ხუთიათასწლოვანი ისტორია. ჩინეთი სხვის ტერიტორიებს არ ეპოტინება და, აშშ-ისგან განსხვავებით, იქ ცეცხლითა და მახვილით თავის წესებს არ ამკვიდრებს. ამიტომ კარგად გავიხსოვთ, რა ხდება მსოფლიოში. აღარ არის აქტუალური ძველი დიდება და ჰეგემონია, რაც ბიზანტიასაც ჰქონდა, რომსაც, ელადასაც, სპარსეთსაც, რუსეთსაც, შევედეთსაც, საფრანგეთსაც, ესპანეთსაც, დიდ ბრიტანეთსაც, თუმცა ვხედავთ ახლა, ეს უკანასკნელი რა დღეშიცაა და, ზოგადად, მსოფლიოც. ახალი არქიტექტურა

გასაღები სრულიად დაკარგა

რის მსოფლიო იბადება. თუმცა, ის ან დაიბადება, ან, საერთოდ, განადგურდება. მსოფლიოში ბირთვული მზადყოფნა გამოცხადებული. პუტინმა უკვე განაცხადა: რუსეთს საფრთხე თუ დაემუქრება, ისეთი და იმდენი შორსმდგომი ბირთვული რაკეტა გვაქვს, გარშემო ყველაფერი გაცამტვერდება. მესამე მსოფლიო ომი მძინვარებს. ავანტიურისტმა ზელენსკიმ რუსეთს მიუგო ქვეყანა საჯიჯგნად, ჯერ უკრაინა მიწასთან გაასწორებს, ახლა რუსეთთან მორიგეაზე ალაპარაკდნენ. რაღაზე ანგრევენ ამ ქვეყანას, რისთვის ჩახოცეს ამდენი ადამიანი. ზელენსკი გაეროში მთელ მსოფლიოს ფულს რომ ემათხოვრებოდა ომის გასაგრძელებლად, მისი ცოლი მილიონ ასი ათასი დოლარის ღირებულების ბრილიანტის სამკაულებს ვიდულობდა ამ დროს ნიუ-იორკში, „კარტიეს“ მაღაზიაში. ამის დამადასტურებელი ჩეკიც შემოიღია გაჩვენოთ. ზელენსკის დარი ვიგინდარები გაპყვირიან აქ: სლავა უკრაინეო. აბა, ახლაც იყვირონ! სად

ვცემენ, კიდევ გაგვიღიმებენ და კინტორსაც დაუვლიან.
რევოლუციას რაც შეეხება, ვინ არის აქ მისი მომწიბო, „გოუ გოუ შენია“ გვარამია, თუ ლომჯარია, რომელთაც ამერიკაში საამისოდ ჩამოჰკიდეს მელლები. ამათ უნდა მოახდინონ რევოლუცია, თუ გირჩი შარვალიჩხილია, ან ფე-ეს-ბეს აგენტმა ლჟა ზოშტარიამ?! იმ საქართველოს რა ვუთხარი, ესენი რომ რევოლუციას მოახდენენ. რევოლუცია კი არა, ერთმანეთს ვერ გაასწორებენ აქედან.
ჩვენ კილობანში ვართ. მიუხედავად იმისა, რომ პირად ცხოვრებაში ცოდვით საგსენი ვართ, უფალს ვუყვარვართ და ჩვენც გვიყვარს უფალი. მისთვის არასდროს გვიღალატია. ჩვენ გადავრჩებით. ანგლოსაქსური ცივილიზაციის დიდება და ჰეგემონია წარსულს ჩაბარდა.
— საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი სამი დღე გაგრძელდა. რა გამოიკვეთა?
— მენშევიკური მსოფლმხედ-



ზედ კი დადიან გზადაგზა დოლა-რების კრეფით.
— როგორ ფიქრობთ, უნდა ველოდოთ პრეზიდენტის იმპიჩმენტს?
— იმპიჩმენტი უკვე შემდგარია, ამას სასამართლოს დასკვნა ბე-

ულალატა. ჩვენ მოვიყვანეთ პრეზიდენტის პოსტზე, ჩემი წვლილიც არის ამაში, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, ასეთ სურათს თუ მივიღებდით. მეორე მხარეს ჩეკისტი გრიგოლ ვაშაძე იყო. ფე-ეს-ბეს თავისი კაცის მოყვანა სურდა და მისი საპირისპირო არჩევანი ზურაბიშვილი იყო. გრიგოლ ვაშაძე დღესაც ფე-ეს-ბეში მუშაობს და ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა, რათა იგი ქვეყნის სათავეში არ მოსულიყო. დღეს ყველაზე ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა დღეშია ევროპა, ევროკავშირი - სალომე ზურაბიშვილია.
— პარლამენტმა „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონი დაამტკიცა, რასაც ოპოზიციამ რუსული კანონის გაგრძელება უწოდა...
— ეს უმეცრები ყველაფერს რუსულს ეძახიან. ამ დროს თავად ლიაკა ზოშტარია, ჩეკისტი სააკაშვილი, კაკებეს სკოლაში გამოზრდილი ბეჟუშვილი, ვაშალომიძე ჰყავთ. ცოტა ხნის წინ უშიშროების ყოფილმა თანამშრომელმა პირდაპირ თქვა: პოროშენკო და საკაშვილი კაკებესთან თანამშრომლობდნენ.
— ბატონო გოგა, ოპოზიციამ

„დიდი“ გადალაგებებია, იკვრება ახალი ალიანსები, ახლანა მატუტაძე და ქარდავა გაერთიანდნენ...
— კარგი, რა, რა დროს ნიკოლოზ მატუტაძეა. სუყველა მატუტაძეები არ არიან? თუმცა ეს უკანასკნელი მგონი, ყველას სჯობს. რაღა დროს სამადაშვილი, მელია და ხაბიშვილია. ქართველი ხალხი პრაგმატულად აზროვნებს. ის თავის წინაპრებს შინაგანად გრძობს. იმპერიები დაინგრა, ჩვენ კი ისევ ვარსებობთ. მოსვენებელი უდაბნოში ორმოცი წელი ატარა და ისე მიიყვანა აღთქმულ მიწაზე. ჩვენს შემთხვევაშიც იგივე ხდება. სულაც არ არის კარგი, ქვეყანაში ერთადერთი პოლიტიკური ძალა რომ არსებობს, რომელსაც შეიძლება ქართველი ხალხი დავერდნოს. დიახ, ეს არ არის სახელმწიფოსთვის კარგი, ჯანსაღი ოპოზიციის არსებობა აუცილებელია, მაგრამ განა შეიძლება, ქვეყანა ელისაშვილის მსგავსი „პოლიტიკოსის“, იმედზე იყოს?! რატომ აღარ ომობს იგი უკრაინაში, დამთავრდა ომი, გაიმარჯვა უკრაინამ?! ან ქაცარავა სად არის, რატომ აღარ ომობს?! სად გაქრა მათი თავდადება „სლავა უკრაინისთვის“. აღარ უჭირს უკრაინას, თუ რა ხდება?!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, მთავრობის პრემიერი ისე წარმოაჩენენ ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც ეს მის ისტორიას, წარსულს, აწმყოსა და მომავალს ეკადრება.

არის უკრაინა, რა დარჩა მისგან, „სლავა“ რომ ჰქონდეს?!
— ტელესაროკაობები, როგორც აღნიშნეთ, მნიშვნელოვან სამიტს არ აშუქებდნენ, სამაგიეროდ, პროპაგანდას ეწევიან, რათა სტატუსი ვერ მივიღოთ და აქ მათმა პატრონებმა რევოლუციური პროცესები დაძრან.
— ვის რაში დაჰკარგვია ეს სტატუსი! კიკუ ვაშაძის თამალობით, „ნაცმოძრაობამ“, „რესპუბლიკელებმა“, „გირჩმა“, „ლელომ“, „მოქალაქე“ ელისაშვილმა, კარგად გააზვიონ ეს კანდიდატის სტატუსი და იცინან, სად გაიკეთონ. თურქეთი უკვე ორმოცი წელიწადია, კანდიდატია და რა მერე? ჩვენ რა სტატუსი გვინდა ევროპაში?! ან ვინ უნდა მოგვანიჭოს ის? თუ ვინმე არის, მათ შორის, ჩვენც ვართ ტრადიციული ევროპის დამფუძნებლები. ცივილიზებული ევროპის საფუძველი ქრისტიანული მსოფლმხედველობაა, რასაც ჩვენგან იმთავითვე სწავლობენ. ამაზე მეტი არავითარი სტატუსი ჩვენ არ გვჭირდება. კანდიდატობა ევროს შინაგან — კიკუს და სალომე სამადაშვილს სჭირდებათ. ჩვენ სტატუსი საუკუნეების განმავლობაში ჩვენმა წინაპრებმა თავდადებით, ბრძოლითა და უფლისადმი ერთგულებით მოგვიპოვეს და დღემდე შემოგვინახეს. დღეს სტატუსი ევროპერიკელი პოლიტიკოსების ხელში იარაღად აქციეს, რათა მათი აზრით მეორეხარისხოვანი ქვეყნების შიდა საქმეებში გრძელი ცხვირები ჩაჰყონ, როგორც ამას საქართველოში ცდილობენ. დღეს გონიერ საქართველოსთან ყველას სჭირდება თანამშრომლობა, თანაც, ძალიან! ამიტომ სტატუსსაც მოგ-

ველობის ატმოსფეროში გაზრდილი მაღამ სალომე, სამწუხაროდ, დღემდე მენშევიკი დარჩა. სამარცხვინოდ იქცევა. პროცესზე ირაკლი კობახიძე ისე გამოიყურებოდა, როგორც გულიყვრილი ლილიპუტების ქვეყანაში. ეს „ქეისი“ სასამართლოს ისტორიას სამუდამოდ დარჩება. კოპალეიშვილზე — ადგილობრივი, გვარამიას მოადგილე რა უნდა ვთქვა, როცა ამ არარაობების მოადგილეობა ეამყვება. მეგის ქარდავას, კასტილიანი კაცისა და ნაცების მეგობარი რომ იქნები, რისი შერაცხვები, წერა-კითხვის უცოდინრები, კობახიძეს კვალიფიკაციას უწუნებენ. ქართულ მიწაში ფესვი არ აქვთ,

ჭედს დაუსვამს. ეს პოლიტიკური არარაობა საფრანგეთსა და საქართველოს შუა აღარც აქეთაა და არც — იქით. ზურაბიშვილმა სული გაყიდა. მრუშიდან დაწყებული, რას აღარ ეძახდნენ: აგენტს, რეზიდენტს, აღარ გავიძეოთ იმ სიბილწეს და შეურაცხყოფას. ახლა მათთან ერთად ზის, მათ ზელს ართმევს, რომელ ღირსებაზე ამის მერე ლაპარაკი. ზურაბიშვილი კიკუ მასხარასთვის აღარ არის პრეზიდენტი და, მით უმეტეს, ვერ იქნება ქართველი ხალხისთვის. დღეს იგი წარმოადგენს მათ კოპალეიშვილს, ანა წითლიძეს, სალომე სამადაშვილს. მან თავის ამომრჩეველს, მხარდამჭერებს



მადლობა ღმერთს, ქართველი ხალხი მომწიფებულია, რასაც არაერთი ჩატარებული არჩევნები ცხადყოფს. ბოლო არჩევნებზე ნაცებმა თავისი კანდიდატის დაყენებაც ვერ გაბედეს. ნაცებს, მათ სატელიტებს, ამერიკის საელჩოს, სხვადასხვა ფონდების მხარდაჭერა რომ ჩამოაშორეთ, მათი ფასი ნული იქნება. ამ ფონდებით უდგათ სული. აბა აქ, სამადაშვილი, წითლიძე, სამხიძე ვის რაში სჭირდება. აშშ-ის საელჩოს, ფონდებს, USAID-ს და სხვებს — ეს კიკუები ხელოვნურ სუნთქვაზე ჰყავთ. იქ ჰკონიათ, საქართველოს სამადაშვილების ხელშეწყობით ფეხქვეშ გაიგებენ! არ მოხდება ასე, ქალბატონო დეგან! ჩვენ დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ქვეყანა ვართ, ხოლო თქვენ სად აღმოჩნდებით მალე თქვენი აგენტებიანად, ამასაც ვნახავთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

როგორ დავიბრუნოთ აფხაზები და აფხაზეთი

სოხუმის დაცემის ოცდაათი წლის თავზე „საერთო გაზეთმა“ დაიწყო დისკუსია თემაზე, როგორ დავიბრუნოთ აფხაზი ხალხი და თავად აფხაზეთი. ინტერვიუს გამოქვეყნებას მკითხველთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამჯერად ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე კვიციანი „საერთო გაზეთის“ მკითხველის შეკითხვებს პასუხობს:



— მიხარია, რომ ამ თემაზე დისკუსიაში თავად მკითხველი ჩაერთო და მათი მხრიდან ამ საკითხს დიდი რეზონანსი მოჰყვა. ეს მიძინებული ტკივილი — აფხაზეთი „საერთო გაზეთმა“ გააცოცხლა. საკმაოდ ბევრი საჭირობოროტო კითხვა დაისვა, რასაც ერთ-ერთ ნომერში ნამდვილად ვერ ამოვწურავთ. შევეცდები, თქვენი მკითხველის ინტერესი თანდათანობით დავაკმაყოფილო. სანამ უშუალოდ კითხვებს ვუპასუხებ, მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველო მუდმივად იყო სხვა ქვეყნებისთვის — სპარსეთისთვის, ოსმალეთისთვის, მონღოლეთისთვის, რუსეთისთვის და ასე შემდეგ, არენა. საქართველოს დამპყრობლები ცდილობდნენ, ჩვენი შინაგანი კონსოლიდაციის, განვითარების პროცესი შეეფერხებინათ. კონსოლიდაციის პროცესი დღემდე ბოლომდე მოგვარებული არ არის. რუსებს, გერმანელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს ეს საკითხი მოწონებდა და აქვთ. საქართველოში შიდა დაყოფის ფონზე, კონსოლიდაცია ხუთი საუკუნის განმავლობაში არ ხდებოდა. მიზეზი ის გახლავთ, რომ გვექნა შიდა ომები — იმერეთსა და გურიას, გურიასა და სამეგრელოს, სამეგრელოსა და იმერეთს და სხვა კუთხეებს შორის. მკითხველმა შესაძლოა, არც იცოდეს და აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ მაგალითად, ქვემო-გურულები, ანუ ქობულეთის გურულები არაქართველებად იყვნენ გამოცხადებულნი. დაახლოებით გურულები რუსეთის იმდროინდელი პოლიტიკურ-ისტორიულ ლიტერატურაში არაქართველებად არიან მოხსენიებულნი. ასევე, აჭარლები, კლარჯები, მეგრელები, სვანები, მესხებიც. სტალინიც აჭარლებს, მეგრელებს ქართველებად არ იხსენიებს. ამ პერიოდში, 1929 წლის ოქტომბერში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ორჯონიკიძემ განაცხადა, აზერბაიჯანის მცხოვრებლების თხოვნა დაეკმაყოფილებინათ და მათ ტერიტორიას საინგილო, ანუ ზაქათალა შეერთებოდა. ასე დაიკარგა ძირძველი ქართული მიწა. ეს დალატისა და ვერავობის მაგალითია. მსგავსი რამ, რაც ორჯონიკიძემ იკადრა საკუთარი ერის მიმართ — საკუთარი ტერიტორიების სხვისთვის გადაცემა, მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს.

— ბატონო ივანე, მკითხველის შეკითხვებზე გადავიდეთ. ერთ-ერთ მათგანს აინტერესებს, როგორ შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ვინ იყო ამის მოთავე ან ინიციატორი?

— თავდაპირველად გეტყვით, რომ აფხაზეთის იმდროინდელი

პოლიტიკური ძალები აფხაზეთის ავტონომიის აქტის პირველ პუნქტს — საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის შესახებ, მხოლოდ სიტყვიერად ცნობდნენ და ამას დროებით მოვლენად მიიჩნევდნენ. ეს უკვე ბერიას მიერ დაწვებული პროცესი გახლავთ. სწორედ აქედან იწყება წინააღმდეგობები. თებერვლის რევოლუციის, ხელისუფლების გადატრიალების შემდეგ, აფხაზეთში სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციები ჩამოყალიბდა, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. მაგალითად, თავად აფხაზეთში ჩამოყალიბდა ცარიუსტული, ანუ რუსული პოლიტიკური ორიენტაცია, ასევე, იყო დენიკინური, თურქული, ბოლშევიკური, ქართული და აფხაზეთი ორიენტაციები. ხედავთ, რამდენი ორიენტაცია ჩამოყალიბდა ამ პატარა ზონაში. ამ ორიენტაციებს ყველას თავისი მიმდევრები ჰყავდა. ცნობილია, როგორ გადაწყდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა. მკითხველის ინტერესს დაეკმაყოფილებდეს გეტყვით, რომ ამ ყველაფრის სათავეში ორჯონიკიძე იდგა. თებერვალში გასაბჭოება მოხდა, ხოლო 1921 წლის მარტში გადაწყდა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეექმნათ. აღმოსავლეთ საქართველოში და თბილისში 375 ათასი მცხოვრები იყო, მათ შორის, 140 ათასი სომეხი, ქართველი — მხოლოდ 37 ათასი, ამიტომ გენერალმა სიტინმა, რომელზეც წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ, განაცხადა: თბილისში ქართულ ენაზე საუბარი არ შეიძლება. აქ უნდა იყოს ხელისუფლება, რომლის სამუშაო ენა რუსული იქნებაო. თუმცა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ამ მხრივ განსხვავდებოდა. სიტინი პირდაპირ მოითხოვდა, ლენინსაც უდასტურებდა, რომ აფხაზეთი საქართველოსთვის უნდა ჩამოეცილებინათ. ამასთანავე, ყურადღება გამახვილებულიყო

სამეგრელოზეც, რომელსაც რუსეთისთვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა, ეს ასე მარტივი არ იყო, რადგან სურდათ, აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში გაერთიანებულიყო. ეს ანექსიის ტოლფასი იქნებოდა, რაც კრემლში არ გააკეთეს. ამიტომ უშუალოდ ვარიანტი მოიძებნა, რაც ორივე მხარეს აკმაყოფილებდა და აფხაზეთი, დროებით, დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა. საბოლოოდ, საკითხი მოლაპარაკების გზით უნდა გადაეწყვიტათ.

— წინა ინტერვიუს დასასრულს თქვენ ახსენეთ, რომ აფხაზი სეპარატისტების ყრილობაზე ქართველებს ბრალდებები წაუყენეს. მკითხველის მომდევნო შეკითხვა სწორედ ესაა — რა ბრალდებებზეა საუბარი?

— როგორც წინა ჯერზე მოგახსენეთ, 1967 წლიდან საპროტესტო გამოსვლები დაიწყო, რაც ყოველ ათ წელიწადში იმართებოდა. 1977 წლის დეკემბერში აფხაზეთი ელიტის 130-მა წარმომადგენელმა ბრუნვეს წერილი გაუგზავნა, სადაც საქართველოსთვის აფხაზეთის ჩამოშორებას და რუსეთის სივრცეში მის გაერთიანებას ითხოვდნენ. ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში შეგარდნა იყო, რომელიც საკადრო ცვლილებების განხორციელებას შეეცადა. თუმცა, ამან უკუშედეგი გამოიღო. არადა, შეგარდნა სურდა, საკადრო ცვლილებებით სიტუაცია განემუხტა, მაგრამ რეალურად აფხაზეთი ეთნოკრატის ელიტარული კლასის ჩამოყალიბება მოხდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან, საბჭოთა კავშირის თხოვნით სახალხო დემოკრატიის შორის რვა აფხაზი იყო, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 140 დემუტატიდან 57 აფხაზი, 53 ქართველი და დანარჩენი სხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ. ვინ იყო ამ ყველაფერში დამნაშავე? აღსა-

ნიშნავია, რომ მთავრობის თავმჯდომარე, ძირითადად, ყოველთვის ქართველები იყვნენ. შეგარდნაზე საკადრო ცვლილებების გატარებით იფიქრა: აფხაზებს დავამშვიდებო და ქართველები აფხაზეთში ჩანაცვლავ. ამით აფხაზები გაძლიერდნენ. ისინი მოსკოვშიც მრავლად იყვნენ და საქართველოშიც. მეტსაც გეტყვით, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე აფხაზი ლაბაზუა გახლდათ.

ახლა უშუალოდ მკითხველის კითხვას ვუპასუხოთ. 1989 წლის 18 მარტს მიიღეს ეგრეთ წოდებული „ლიხნის მიმართვა“, რომლითაც აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას მოითხოვდნენ. „ლიხნის მიმართვა“ მოსკოვში გაიგზავნა. მიმართვის ტექსტი აფხაზთა სახალხო ფორუმის — „აიდგილარას“ ინიციატივით იყო შედგენილი. „ლიხნის მიმართვაში“ აფხაზი სეპარატისტები ქართველებს შემდეგ ბრალდებებს უყენებდნენ: პარტიული და სახელმწიფო კადრების ხელყოფა; აფხაზეთის კულტურის ძეგლების, უნიკალური ბუნების განადგურება; აფხაზი მოსახლეობის ძალით გაქართველება; ქართველების მასობრივი ჩასახლება აფხაზეთში; აფხაზეთი ტოპონიმების მოსპობა; აფხაზეთის ისტორიის გაყალბება; აფხაზეთის დიდი ისტორიის საქართველოს ნაწილად წარმოდგენა.

აი, ეს ყველაფერი ბრალდებოდათ ქართველებს. რეალურად, ეს რუსეთის, კრემლის დავალება იყო, მიზანი — ქართველებსა და აფხაზებს შორის ვითარების გამწვავება გახლდათ. ამ წერილის გაგზავნა ჩვენთვის არასასურველი იყო. მათ მოსკოვში ხალხი ჰყავდათ. „ლიხნის“ ყრილობის მონაწილეები საქართველოსა და აფხაზეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების აღდგენას მოითხოვდნენ. განსაკუთრებული დაპირისპირება ქართული მხარის ინიციატივას — აფხაზების უნივერსიტეტის ეროვნული ნიშნით გაყოფას მოჰყვა. ეს

მიუღებელი იყო. აფხაზეთის უნივერსიტეტი ორად — აფხაზურ და ქართულ უნივერსიტეტებად გაიყო. ეს გადაწყვეტილი დაპირისპირების საბაბად იქცა. 1989 წელს ქართველებმა შეცდომა დაუშვეს. მოხდა სხვადასხვა საგანმანათლებლო ფონდების დაყოფაც — აფხაზური ფონდი, ქართული, სომხური და ასე შემდეგ.

1989 წლის ივლისში აფხაზეთის მთავრობის სახლის თავზე გაჩნდა დროშა წარწერით — აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რამაც ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკება გამოიწვია. ამ ტრაგედიას ადამიანური მსხვერპლიც მოჰყვა: დაიღუპა 90 აფხაზი და 16 ქართველი. დაიჭრა 400-ზე მეტი ქართველი და 300-ზე მეტი აფხაზი. ეს ამბავი გასაიდუმლოებული იყო. ამ შეტაკებას უფრო დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა, მაგრამ აქ დიდი როლი ითამაშა შემდეგმა ფაქტორმა: ქართველი პარტიოტები თბილისიდან, განსაკუთრებით კი სამეგრელოდან დაიძვინდნენ. შეტაკება ზღვარზე იყო. შატალინმა განაცხადა, რომ ჯარისკაცების დასაღწავად ძალას არ გამოიყენებდა. უმჯობესი იყო, ქართველებსა და აფხაზებს პოლიტიკური გადაწყვეტილება თავად მოეძებნათ. 1989 წლის მოვლენებმა დაადასტურა, რომ „აფხაზეთი მოძრაობა“ საქართველოს „ეროვნული მოძრაობის“ პარალელურად აქტიურობდა. აფხაზები გვეუბნებოდნენ: თქვენ ხომ გამოდიხართ რუსეთის წინააღმდეგ, ხომ გინდათ რუსეთისგან გათავისუფლდეთ, ჩვენც იგივე გვსურსო. ხედავთ, რა კუთხით მიჰყავდათ საუბარი. ეს ემპირიული სვლა იყო. ბუნებრივია, მერე „აფხაზეთი მოძრაობა“ რუსეთის დასაყრდენ ძალად გადაიქცა. 1990 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გასვლის შემთხვევაში ავტონომიურ რესპუბლიკებს უფლებას



ჩვენი ქვეყანა ღირსებისა და ზნეობის დასვაა გადაარჩინა

თეა წულუკიანს მოსახლეობის ნდობის ჯავშანი იცავს



ქალბატონი თეა არ გახლავთ მხოლოდ მინისტრი. დღეს ის არის ქვეყნის ვიცე-პრემიერი, რომელიც შეჭიდებულია ქვეყნის აღმშენებლობის მძიმე აღმართს. მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად ინაწილებს მძიმე ტვირთს. ის შედეგზე ორიენტირებული მოღვაწეა. მას მოსწონს შემოქმედებითი პროცესი, რაც მისგან თვითდაჯერებულობას და პრინციპულობას მოითხოვს. მის ბუნებას ესადაგება შესაძლებლობების მაქსიმალურად გაღება ნებისმიერ საქმეში.

ის ნაკლებად შფოთავს, როცა აუგად მოიხსენიებენ. როცა მის მიმართ კატეგორიულობა არიან. ცდილობს, ღვთისა და სინდისის წინაშე მართალი იყოს.

რაც შეეხება მას, როგორც კულტურის მინისტრს, სპორტულად რომ ვთქვათ, ის რეკორდსმენია. ხელოვნება და სპორტი მრავალფეროვანი და ფართო ფენომენია. მინისტრმა ძალიან ადვილად იპოვა ყველა დარგის თუ მიმართულების გასაღები კულტურისა და შემოქმედების როლის აღსაზრებისთვის. დაიწყო მასშტაბური რეფორმები ძირითად წამყვან დარგებში, რამაც ზოგიერთთა უკმაყოფილება გამოიწვია. ბევრმა შურნალისტმა და კულტურის მოღვაწემ უკადრებელი იკადრა.

ეს გახლავთ დაუმსახურებელი პირადი შეურაცხყოფა. ხელოვნებისა და სპორტის წარმატებების დაუნახობა, შეგნებულად ტალახის სროლა, რაც ოპოზიციის ნარატივია.

სადაც წარმატებებია, იქ შურია, სადაც შურია, იქ ცილისწამებაა. ღირსებადაკარგული ადამიანები ყველაფერს კადრულობენ.

პარლამენტარ ოპოზიციონერ ქალბატონებს მინდა შევახსენო. ნუ გავიწყდებათ საზოგადოების არჩევნები რომ ხართ. მათ თქვენთვის ბილწსიტყვაობის და უხამსად მოქცევის მანდატი არ მოუციათ.

მე საქართველოს მომავალი მადლეულებს, მისი ზვალინდელი დღე.

მორალი წარმოადგენს კულტურის მიერ დადგენილ ნორმებს იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და არასწორი, კარგი და ცუდი, მისაღები და მიუღებელი საზოგადოებისთვის. იგი განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას და ყოფაქცევას საზოგადოებაში.

როგორ ეტყობათ, ზემოთ ხსენებულმა ქალბატონებმა თავის დროზე ცუდად ისწავლეს ილიას „ოთარანთ ქვრივი“, აკაკის „გამზრდელი“, კონსტანტინეს „დიდოსტატის მარჯვენა“, გალაკტიონის „მერი“. ზოტბას ასხამენ ლევან ბერძენიშვილის უკუღმა შეტრიალებულ იდეებს, რომელიც ამბობს, რომ ერეკლე მეფე მოღალატეა, დავით აღმაშენებლის შთამომავლები დეგენერატები არიან. ეს ის ბერძენიშვილია, რომელიც

ვითომ „ებრძვის“ საბჭოთა გადმონაშთებს. ისე შეტობა „საბჭოთა ლაბირინთებში“, რომ ერეკლე მეორესა და დავით აღმაშენებლის შთამომავლებში საბჭოთა ელემენტები იპოვა თუ აღმოაჩინა. ეტყობა, ჩვენს პარლამენტარ „ქალბატონებს“ მოსწონთ და გატაცებით კითხულობენ ზაზა ბურჭულაძის „ვირის სახარებასა“ და „გაბერილ ანგელოსს“, წითელი პარასკევი აქვთ, როცა მხცოვანი პატრიარქის დასაძრახს ისმენენ.

ახლა, ხელისუფლებას განდგომილი პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხი რომ განიხილება. ეს ქოფაკი დიაცები გულზე მჯიღს ირტყამენ და გაიძახიან, კარგი პრეზიდენტი, გადასარევი საზოგადო მოღვაწეაო. ქვეყნის გულშემატკეპარიაო. მინდა, შევახსენო მათ: როცა სალომე ზურაბიშვი-

არის ეს სპორტული საქციელი, თუნდაც ადამიანური?

არა, რასაკვირველია. ეს გახლავთ საქართველოს უპატივცემულობა, უმადურობა და შეურაცხყოფაც. თუ თქვენს სამშობლოს გულშემატკეპრობთ და მისი წარმატებები გახარებით, რატომ გაიბადრეთ უკრაინელების აუგ ქცევაზე? ქართველი ხალხის მხარდაჭერა და დახმარება უკრაინას აკლია?! ქართველები სისხლს ღვრიან მათი თავისუფლებისთვის, ისინი კი როგორ გვექცევინა?!

ერთხელ დიდი კონსტანტინე შეხვდა სოხუმში მცხოვრებ მეგრულს, სახელმოხვეცილ პიროვნებას, რომელიც იძახდა, აფხაზი ვარო. კონსტანტინემ ჰკითხა, მეგრული გვარის კაცი აფხაზი როგორ ხარო? გაიბღინდა თურმე მოპასუხე და მიუგო, მე აფხაზეთში დავიბადეო. როგორც სწე-



ლის არჩევნები იყო, მაშინ რად იძახდით, ცუდიო, მიუღებელიო? როდის ტყუოდით?! სამწუხაროდ, მუდმივად ტყუით - მაშინაც და დღესაც. მოსახლეობის თვალში ნაცრის შესაყრელად ბინძური, მიუღებელი სიტყვების გამოყენებასაც არ ერიდებიან.

რამ გადაგრიათ, რა ხელიკი შეგიძვრათ სხეულში? თუ საქართველო თქვენი სამშობლოა და მისი წარმატებები გახარებით, მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა, ბუდაპეშტში გამართულ მოციგურავე იუნიათა შეჯიბრებაზე საქართველოს სახელით გრან-პრის მფლობელი ლუკა ბერულავა და ანასტასია მეტელკინა მეორეადგილოსან უკრაინელ სპორტსმენებს რომ მიეახლნენ და ხელის ჩამორთმევით წარმატების მილოცვა სურდათ. უკრაინელებმა ხელი არ გამოუწოდეს. მათი მილოცვა არ მიიღეს.

ოდა, დიდ მწერალს არ მოერიდა და პირდაპირ მიახალა, ბოსელში, რომ დაბადებულიყავი, ხბო იქნებოდიო?!

ბერულავა რუსეთში დაიბადა, მაგრამ ის ფესვით, სისხლითა და ხორციტ ქართველია. როცა საქართველოს ეროვნულ ჰიმნს ისმენს, მკერდზე იდებს ხელს. დღე და ღამე ვარჯიშობს, ოფლს ღვრის, რომ ჩვენი ქვეყნის სახელით წარმატებას მიაღწიოს.

პროვოკაციისა და ყველაფრის უკუღმა შემფასებელი პარლამენტარო ქალბატონებო. ჩვენი ქვეყანა ღირსებისა და ზნეობის დაცვამ გადაარჩინა. ღირსება ის ფენომენია, რის გამოც პატივს სცემენ, ენდობიან და ერთგულნი პიროვნებებს და პიროვნებათა ჯგუფს.

ვნახოთ, სააკაშვილის მონობა თუ გიშველით და გადაარჩენთ.

ბორის ლაშითაია

აძლევდა, რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე მიეღოთ გადაწყვეტილება, ახალი სამოქალაქო ხელშეკრულების საფუძველზე საბჭოეთის შემადგენლობაში დარჩენილიყვნენ. ამ დადგენილებამ გადაწყვეტი როლი ითამაშა. საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში ქართველებიც იყვნენ და აფხაზებიც. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მაშინ არავინ წასულა. ეს გახლდათ საბჭოეთიდან გასვლის საწინააღმდეგოდ მიმართული პოლიტიკურ-სამართლებრივი ქმედება, რომელიც ავტონომიებით დაქსელილ საქართველოს რთულ მდგომარეობაში აყენებდა.

ჩვენ სამი ავტონომია გვქონდა — აჭარის, აფხაზეთის და ოსეთის ოლქი. 1990 წლის 25 აგვისტოს ცალ-ცალკე, აფხაზური და ქართული მხარეების უზენაესი საბჭოს სესია შედგა. ეს გახდა ქვეყნისთვის უბედურების დასაწყისი. ამით, ფაქტობრივად, საქართველოში ორხელისუფლებიანობა დაკანონდა. ერთი მხრივ, ეს იყო საქართველოს ხელისუფლება, მეორე მხრივ — აფხაზეთის. ამას წინ უძღვოდა კრემლის ბინადრის, კომპარტიის ერთ-ერთი იდეოლოგის, სტალინის დაუბინებელი მტრის, ქართველთმობულის მიხეილ სუსლოვის ჯერ კიდევ 1961 წელს პოლიტიბუროს სხდომაზე განხორციელებული განცხადება, რაც ყველასთვის კარგად არის ცნობილი.

1921-90 წლების საქართველო უნიტარული ფედერაციული მოდელის, ანუ შეზღუდული სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე ქვეყანა იყო, სადაც საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად, აჭარისა და აფხაზეთის კონსტიტუციებიც ფუნქციონირებდა. თუმცა ძირითადი განმსაზღვრელი მაინც საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია იყო. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, 1990 წლის შემოდგომაზე ოლქი გაუქმდა და ის რესპუბლიკად გამოცხადდა. აქ მხოლოდ აფხაზების საკითხი კი არა სამხრეთ ოსეთის საკითხიც იდგა. უარესსაც გეტყვით, მთლად ანგელოზად არც აჭარა გამოიყურებოდა. ფაქტობრივად, შევარდნაძის მოღვაწეობის პერიოდში, აჭარა დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო. აჭარის ხელმძღვანელი თბილისში არ ჩამოდიოდა, პირიქით, შევარდნაძე სტუმრობდა ბათუმში. ამას მხარს უჭერდნენ რუსები. სხვათა შორის, როგორც აფხაზების და ოსების დამოუკიდებლობას, კრემლში აჭარის დამოუკიდებლობასაც მხარს უჭერდნენ. ეს საინტერესო საკითხია.

მკითხველი დაინტერესდა, როგორი იყო აფხაზეთი ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელი-სუფლების პოლიტიკაში, ასევე, შევარდნაძის, სააკაშვილისა და დღევანდელი ხელისუფლების პირობებში. მოდი, „საერთო გაზეთის“ დახმარებით ქართულ საზოგადოებას სწორი წარმოდგენა შევუქმნათ აფხაზეთზე. ეს იქნება კოლექტიური გაზეთი — დიალოგი გაზეთისა და მკითხველს შორის. თქვენი გაზეთი ძალიან მიყვარს და მზად ვარ, ამ თემაზე დისკუსია კვლავაც განვაგრძოთ.

თამარ შვილიძე
555 23 28 24



ზე“ ორლულიანი „ზენიტები“ იდგა. სადაც დაგვიდამდებოდა, იქ წრეს ვაკეობდით და კარებს ისე ვდგამდით, ყველა მხარეს რომ გვეყურებინა, შუაში სამიძრო ადგილი იყო.

რას უშვებდით შენიანს, ან შენ რას გინახებდა, თუ ხელში ჩაგივდეს... ხან ყურებს დაგვჭრიდით, ხან თითებს, ბოლოს ცხვირში გრძელ ჯოხს შევუყოფდით და ჰაიდა ტვინში — მთავრდებოდა წამება.

რი არ დაგვინახავს, მხოლოდ იმას ვხედავდით, რომ ხალხი გვეხოცებოდა... — ვინ იცის, რამდენი სამშობლოს დამცველის ცოფა გადევს...

უკრაინაში წამოწყებულმა და მიმდინარე ომმა ბევრს ავლანეთის დაუსრულებელი ომი გაახსენა — მამინაც აშშ და რუსეთი (მამინდელი სსრკ) შეიბნენ. იმ განცხადებების ფონზე, რომლებსაც კოლექტიური დასავლეთი და მაღალი სამხედრო თანამდებობის პირები აკეთებენ, ნათელია, რომ ადამიანთა სიცოცხლე არაფრად უღირთ...

„თითქმის ათი წელი ვიდექით ავლანეთში, მაგრამ მთელი ჩემი მხედრული სინდისით მაინც ვაცხადებ, რომ ჩვენ ეს ქვეყანა ვერ დავამარცხებთ. იცით, რატომ ვერ დავამარცხებთ? თვითონ ავლანეთის დაჩოქება გაგვიჭირდა, იგი სიკვდილს არჩევდა თავისუფლების დაკარგვას და ამიტომ იყო, ბოლომდე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე რომ გვერძოდოდა“ („მე — გენერალი ეპიტაშვილი“).

„დღი ხანია, თავს ვიტყუებდით და ვქმნიდით მითს, თითქოს ავლანეთში რამეს მივალწვიეთ. ახლა ეს ყველაფერი, უკვე გამოაშკარავებულია“, — დენიელ დევიდისი. „ავლანეთი“ ვეტერანი აშშ-იდან.

„ამ რამდენიმე დღის წინ ამერიკის ყოფილი ელჩი, უილიამ კორტნი მყავდა სტუმრად. თითქმის ორი საათი ვისაუბრეთ. მხოლოდ ერთი საკითხი აინტერესებდა, როგორ მოვახერხებ საბჭოთა ჯარის ავლანეთიდან გამოყვანას... ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობიდან ბევრი რამით შემიძლია ვიამაყო, განსაკუთრებით მსოფლიო პოლიტიკაში შეტანილი წვლილი და დამსახურებები, მაგრამ ყველაზე საამაყო მაინც ის არის, რომ მაშინ ავლანეთიდან ჯარის გამოყვანით ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლე გადავარჩინე...“ — ელჟარდ შევარდნაძე. 2013 წელი, ივნისი.

ცხონებულ რეზოს, იმ დროს 19 წლის პირტიტეველა ბიჭს, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს სამხედრო სავალდებულო სამსახურს ავლანეთში იხდიდა, აგრემიშიაში“ რომ მოეკარით თვალი, მთელი საახლოობლო უტვიროდით, ბოლომდე არ გვეჯეროდა, რომ სკოლის მერხიდან ავლანეთში მოხვედრილი ცოცხალი ჩამოვიდოდა. ჩამოვიდა, მაგრამ ვაი ამ ჩამოსვლას, აბსოლუტურად დანერგული ჰქონდა ფსიქიკა...

რეზო წლების განმავლობაში დეშდა და არც მერე ეხალისებოდა ავლანეთის ამბების გახსენება, მაგრამ ძალიანძალიად მაინც ამოვალერდინე ერთი-ორი სიტყვა: „ავლანეთს ვერავინ მოუგებს, ატომური ბომბი რომ ჩამოვადო, მაინც ვერ გაწვევტ და ამ ჩვენ ბიჭებს რაღაზე აზოცინებენ, ახლაც საბჭოთა კავშირი ხომ არის...“

რეზო ბ-ძე (ეს საუბარი რეზოს სიცოცხლეში, ორიოდ წლის წინათ

ომს დაუნერკალი კანონები აქვს...

24 კაცი მყავს მოკლული, ის ნაღდი, რას დავთვალე, მერე სათვალავი ამერიკა...

არის ჩაწერილი. მან საკუთარი გვარის გამხვლა არ ისურვა). აი, გორბაჩოვის ხელმოწერილი „გრამოტა“! ის კი არ არის, ყველას რომ აქვს, საბჭოთა კავშირში ზუთს გვექონდა ეგეთი, პირადად აქვს ხელი მოწერილი. ახლა, როგორც ამბობენ, ჩვენები ბაზაზე არიან, ან პატრულირებენო, ჩვენ სხვა სიტუაციაში ვიყავით, წარმოდგენა არ გვექონდა, სად ვიმყოფებოდით, ან სად მივდიოდით, ცხვრებიდან გვერეკებოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე. ერთ დღეს შეგვეყარეს სატვირთო ავტომანქანებზე და ადარც ჩამოვსულვარ იქიდან. მანქანის ტარება არ ვიცოდი, მაგრამ სიხარულით გავიტვიე კაბინაში, ვიფიქრე, ამ ტრიალ მინდოროში, ძალიანაც რომ მინდოდე, მაინც ვერაფერს შევასკდები, ვერც სადმე გადავიჩეხები, მანქანის ტარებას მაინც ვისწავლი-მეთქი. ვინ გკითხა, მანქანის ტარება იცი თუ არა, ან „პრავა“ გაქვს თუ არა, საჭის ტრიალი შეგიძლია? — დაჯექი! გვერდზე ოფიცერი მომიჯდა და вперед!

— აქ რა მინდაო, პროტესტის გრძობა არ გქონდა?
— არა, კაცო, ჩვენი ჯარი უნდა გამომეყვანა, რა პროტესტის გრძობა უნდა მქონოდა! სხვა მხრივაც არანაირი გრძობა არ მქონდა, ადამიანის მოკვლაც არ მქონდა ცხადში ნანახი...

ასი მანქანა მაინც ვიქნებოდით კოლონაში. წინ „ვერტალიოტი“ მიფრინავდა, მიდამოს ზვერაგდა ციდან; ხმელეთზე „ბეტეერი“ მიგვიძღვოდა, მერე — „სვიაზი“, მერე ჩვენ და ბოლოში ისევ „სვიაზი“. ყოველი 5-6 მანქანის შემდეგ „ბეტეერი“ და „კამაზი“ მოდიოდა. „კამაზ-

— ტვირთისა და ადამიანის, ყველაფერი სისხლსა და ტვინში იყო ახელილი...

ხშირად, როცა დასახლებაში ვყოფილვართ, მე-ხორციელი არ დაგვინახავს, არადა, იქ იყვნენ, მაგრამ, რადგან აშკარა მტრობა არ გვექონდა, უზბეკები და მათნაირი ჯიმის ბიჭები ვინც გვეყავდა, იმათი პირით ვაგებინებდით, რა გვინდოდა, მაგრამ ღამით მაინც არ შეიძლებოდა მათი ნღობა. ავლანეთი ხომ ორად იყო გაყოფილი, ერთი ვითომ საბჭოთა კავშირის მხარეს იყო, მეორე — ამერიკის, მაგრამ მოფარებულში „ჩვენინანი ავლანელიც“ ჩვენი მკვლელები იყო. ადარც კი მახსოვს, ყიშლაყებში რამდენჯერ მოვხვდი ბრძოლაში. ეს შობელძაღვლები მიწის ქვეშ ცხოვრობენ თხუნელელებით, ვერ გაიგებ, რამდენი საცხოვრებელია და სად რა ზერელი გადის. მიწის ქვემოდან გესვრის ვიდაც და ისე გაქრება, ვერ გაიგებ, სად ჩაძვრა. გამოწარებული, რომ კაცი მოგვიკლეს, ზოგჯერ ჩვენც ჩავეყვებოდით ხოლმე, მაგრამ ჯერ „ლომონკას“ ჩაგვადებდით და მერე ერთი „ლომონკა“ და ერთი ტყვია გულზე ჩამოკიდებული ყოველთვის გვექონდა, ტყვედ ცოცხალი რომ არ ჩავვარდნოდით...

— ტყვეებს საშინლად აწამებენო. ჩვენებიც აწამებდით?
— არც ისინი აკლებდნენ და არც ჩვენ, ოღონდ ისე, რომ ოფიცერს არ გაეგო. განა არ იცოდა, მაგრამ გაგვერდებოდა ამ გაბოროტებულ ხალხს და შეგვატოვებდა საწამებულ მასალას... გიკვირს ჩემგან ამის მოსმენა, მაგრამ გამწარებულები ვიყავით. როგორია, როცა იცი,

ვრეტ-მეთქი, მაგრამ გულში წყენა არ ჩაუდია — ის უკვე მიჩვეული იყო ყველანაირ მდგომარეობას და სხვისიც ესმოდა.

— ქალებს არ ხვდებოდით?
— შეგვხვდებოდნენ, მაგრამ მეომრებად არა. დაგვიხოცავს კიდეც, მაგრამ ბოროტებით არა. ქალი რატომ უნდა მოკლა, მაგრამ აუცილებლობა ითხოვდა, ზოგჯერ ისეთ უადგილო ადგილზე შეგვფეთებინა, რომ სხვა გზა არ იყო, ცოცხალი რომ გავგეშვო, ცოტა ხანში ჩვენს მოთულ კოლონას ააფეთქებდნენ. ჩვენ იქ საკუთარი ქალები არ გვეყავდა, არც პედერასტები, გადავუვლიდით ყველანი და მერე ვკლავდით. თავს ვაჭრიდით და ვმარხავდით, ისიც იმიტომ, რომ თავისიანებს მალევე არ ენახათ, თორემ მათი დამარხვის დარდი ვის ჰქონდა. აბა, რა გვექნა? ომმა ქალი, ბებერი და ბავშვი არ იცის... უშეშეობი უძახე და დანას ისე ისროდნენ, თუ გესროდა, მოკვლავდა კიდეც. იყო შემთხვევები, რომ გზის რაღაც მონაკვეთის უპრობლემოდ გასაგებლად მეთაური ტყვია-წამალს და მანუთს ჩუქნიდა...

— ვის ჩუქნიდა, თქვენვე არ გესროდნენ?
— სხვანაირად ერთი მანქანაც ვერ მიადწევდა ბოლომდე და თუ მეთაური ცოცხალი გადარჩებოდა, მაგრად მოხვდებოდა — ეს ამბავი საიდუმლოდ რჩებოდა, ვინ იყო გამთქმელი.

გკონია, იმათ უნდოდათ ეს ხოცვა-ჟლეტა? არა, არ უნდოდათ, სხვა გზა არ ჰქონდათ, სამშობლოს იცავდნენ... ყანდაღარისკენ მიმავალ გზაზე „ზელიონკებს“ ვუძახდით, ერთი კვირა ვისროდით, მაგრამ ვის და რას ვესროდით, არ ვიცი, სულიე-



ხტებოდი, წამში ვიცვამდი ტანსაცმელს და სადაც ვაგროდი ხოლმე, ისევ ავლანეთში მეგონა თავი...

— საღისეური მოგონებები არ გტანჯავს?
— ფიქრები... რაც ავლანეთში ბიჭები დაილუპნენ, ერთი იმდენი ჯარების გამოსვლისას დაილუპა. მერე რა, რომ მათ ტერიტორიას ვტოვებდით, ისინი ჩვენზე მეტად იყვნენ გამწარებულები. ხალხი თავისთვის ცხოვრობდა, ჩვენ შეუუცვივდით და ვუხოცავდით მშობლებს, შვილებს, და-ძმებს... შავ დღეში გავადგებდნენ, მაგრამ ისინი თავიანთ სამშობლოს იცავდნენ და რაში გაგამტყუნო... ჩვენ რა გვინდოდა იქ... მე ჩემი სოფლის რაიონულ ცენტრს არ ვიყავი გამოზრებული და ჩიტი არ მყავდა მოკლული...

— ჩვენი სამხედრო კონტინგენტის ცხელ წერტილებში, თუნდაც, იგივე ავლანეთში ყოფნა საქართველოს მომავალ კეთილდღეობას უკავშირდებაო...
— რომელი მომავალი საქართველოსი, ავლანეთში დახოცილი ქართველი ვაჟაკების დახოცვით და თბილისში პედერასტების ხელისგულზე ტარებით რომ აამენებენ?

მაკა ჯაყელი



P.S. „ვაპირებთ, რომ გავაძლიეროთ ჩვენი ძალისხმევა იარაღისა და საბრძოლო მასალის მიწოდებასთან დაკავშირებით. ეს არის მაღალი ინტენსივობის ომი, რომელშიც ისინი გადამწვევტ როლს ასრულებენ“, — განაცხადა ევროკომისარმა შიდა ბაზრის საკითხებში ტიერი ბრეტონმა ფრანგულ გამოცემა Le Parisien-სთან ინტერვიუში და დასძინა, რომ ემზადებინა იმისთვის, რომ ომი რამდენიმე თვეს ან უფრო მეტხანს გაგრძელდება. შესაბამისად, ევროკავშირი მომდევნო 12 თვის განმავლობაში მილიონ ერთეულ მსხვილკალიბრიან იარაღს მიაწვდის უკრაინას.

ანდრეს ფოგ რასმუსენმა ბრძანა, ავლანეთში სამშვიდობო მისიამო მონაწილეობის მიღება ნატო-ში შესასვლელი საშვი არ არისო...

არც ბატონი უილიამ კორტნის ბატონ ელჟარდ შევარდნაძესთან ვიზიტის მიზანი და რეზოსთან საუბარი დამიკავშირებია შემთხვევით ერთმანეთთან...

შებოჭილი ვარ, სათქმელს ღიად ვერ ვამბობ...

„ტრადიცია“ - როგორც მსხვილი სრულდება



- ზუზუ, სულ რამდენიმე დღის წინ, კახეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ აზერბაიჯანულ სოფელში, იძულებით გათხოვილი 14 წლის გოგონა ქმარმა მოკლა. გოგონების ადრეულ ასაკში გათხოვება აზერბაიჯანულ ეთნოსში, განსაკუთრებით დრმა სოფლებში, ჯერ კიდევ მანვე ტრადიციული გადმოწამითაა, რის წინააღმდეგაც შენ ბავშვობიდან დაიწყე ბრძოლა...

- ძალიან განვიცადე, როცა ეს ამბავი გაიგე. გამახსენდა ადრეული ახალგაზრდობის პერიოდი, 2006 წელი, როდესაც ძალიან ხშირი იყო ასეთი შემთხვევები აზერბაიჯანული ეთნოსით დასახლებულ რეგიონებში. თუმცა, სწორედ იმ დროს დაიწყო დიდი პრევენციული ღონისძიებები, ამუშავდა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომ ადრეულ ასაკში გათხოვების მანვე ტრადიცია როგორც აღმოეფხვრა... 14 წლის გოგო ქმარმა მოკლა, რომ ამბობენ - გადაირევი. რა ქმარი? სად გაგონილა 14 წლის გოგოს „ქმარი“ 21-ე საუკუნეში? 14 წლის ბავშვი მოკლა მოძალადე პედოფილმა, დაღუპეს მოძალადე მშობლებმა და ვითომ „ტრადიციამ“. დიახ, მშობელია, პირველ რიგში, მოძალადე, რომელიც საკუთარი ნებით ათხოვებს არასრულწლოვან შეილს, ან თუნდაც „მოტაცებულს“ სახლში აღარ აბრუნებს და ვიღაც პედოფილს საკადრისად არ უსწორდება. გარდა ამისა, ბავშვი რომ სკოლაში არ დადიოდა, ვერაფერს შენიშნა? რატომ არავის აცნობეს, არავის დაურეკეს? რატომ არ ჩააყენეს შესაბამისი ორგანოები საქმის კურსში? თავდაც ძალადობის მსხვერპლი ვარ და შემეშინდა, ხმა ვერ ამოვიღე, დედა რომ ამბობს, მესმის, ალბათ, მასაც მძიმე ცხოვრება აქვს, მაგრამ, როცა საქმე შეილს ეხება, როცა შეილის სიცოცხლეა და ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე, შენი სიცოცხლის დათმობისა უნდა გემინოდეს? მემუქრებოდნენო, თავს რომ იმართლებს, მუქარა კი არა, ცეცხლში უნდა შეხვდეს და ბავშვი გადაარჩინო.

გაუგებარია ჩემთვის, ვისი შეგეშინდა? - გადი გარეთ, შეატყობინე ვინმეს, სოციალური ქსელები ახლა ხომ მაინც არის ყველასთვის ხელმისაწვდომი? არასრულწლოვანი ბავშვის ქორწილის სურათებს რომ დებს, აზარებს და ეს გიხარია, დაურეკე ვინმეს, სთხოვე დახმარება, მიაწვდი ხმა პოლიციას. არ მგონია, ეს ფაქტი რომ შესაბამის ორგანოებს გაეგოთ, ასე უყურადღებოდ დაეტოვებინათ.

ბრძოლა „ტრადიციების“ წინააღმდეგ თითქმის ორი ათეული წლის წინათ დაიწყო, როცა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გახეთქილი მუშაობდა და სტატიებს ქართულიდან აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნიდა. პრინციპული და სამართლიანი ხასიათის წყალობით ბევრი სირთულე დაძლია, ბევრი წინააღმდეგობა გადალახა და თუ დღეს ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების მისწრაფებებმა სასიკეთოდ იცვალა გეზი, აქ მისი მოკრძალებული წვლილიც არის.

- ის მასწავლებლები, მეზობლები და ნათესავებიც, საგარეოდ, 12-14 წლის ასაკში არიან გათხოვილი და ამიტომაც არაფერი იქნებოდა მათთვის ამაში უჩვეულო.

- გასაკებია, მაგრამ მაინც წარმოუდგენელია თუნდაც სკოლის, სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების დუმილი ასეთ დანაშაულზე. ქართული ენის მასწავლებელი არ ჰყავდათ სკოლაში, როგორ არავინ შეამფოთა ბავშვის ძალით გათხოვების ფაქტმა? ნუთუ ვერაფერს შენიშნა, რომ ბავშვი სკოლაში აღარ დადიოდა, ვერ გაიგეს კლასელებმა, ვერ გაიგეს მასწავლებლებმა სად იყო და რა მიზეზით აღარ დადიოდა სკოლაში? ეს ხომ დაუჯერებელია. გარდაბანში კარგა ხანია, ასეთი რამ აღარ ხდებდა, არ ვიცი დმანისში, ბოლნისსა და კახეთში, ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში რა და როგორ არის, მაგრამ შეგინებ, რომ დღესდღეობით, გარდაბანში, მშობლები ბავშვების განათლებას მტყ უყურადღებოდ უთმობენ, ვიდრე ოდესმე. სამწუხაროდ, ჩვენს თემში ჯერ კიდევ არის ისეთი სტერეოტიპი, რომ, თუ გოგონა მოიტაცეს, ან დანიშნეს, მას ოჯახი უკან აღარ მიიღებს, რადგან ფიქრობენ, რომ ის ვედარასდროს გათხოვდება, ცუდ გზას დაადგება, განათხოვარის სახელი დაერქმევა და ასე შემდეგ. თუმცა, მხოლოდ დრმა სოფლებშიც არ დგას ეს პრობლემა. მაგალითად, 7-8 წლის წინ, თბილისში, ჩემს მეზობლად მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი გოგონა მოიტაცეს. ჯერ 14 წლისაც არ იყო ბავშვი. ქართულ სკოლაში სწავლობდა და საკმაოდ პერსპექტიული მომავალიც ექნებოდა, მშობლები რომ მხარში დადგომოდნენ. ატყდა ამბავი, შეიკრიბა მთელი ნათესაობა, უხუცესები თუ ახალგაზრდები და გადაწყვიტეს, - იმ მოტივით, „ხალხი რას იტყვისო“, ბავშვი სახლში აღარ დაებრუნებინათ, რათა ცხოვრება არ არეოდა, ან „ცუდ გზას არ დადგომოდა“. ორი შეილი გააჩინა ამ ბავშვმა და რამდენიმე წელიწადში სრულიად შეერყა ჯანმრთელობა. სულ ავადმყოფობდა, არც ქმართან ჰქონდა კარგი ურთიერთობა, ხან შორდებოდნენ, ხან რიგდებოდნენ... ეს ხომ სოფელი არ იყო, ეს მოხდა თბილისში და საინტერესოა, ამ დროს სად იყო სკოლის დირექტორი, სად იყვნენ მასწავლებლები?!

მაქსიმალურად ვცდილობ, ჩემი შეილების მეგობარი ვიყო, არ მგონია, ჩემმა გოგონამ, რომელსაც მე თვითონ ვატარებ სკოლაში, რამე გამომაპაროს ან დამიმალოს, მაგრამ თუკი ოდესმე მსგავსი რამ მოხდება, ბოლომდე ვიზრუნებ, რომ მოძალადემ ციხეს თავი ვერ დააღწიოს.

- პირადად ვარ მოწმე და მასწავლებელი, როგორ იბრძობი, რომ შენს დას სწავლა გაეგრძელებინა, რად-

გან მშობლები სკოლის დამთავრების უფლებას არ აძლევდნენ, როგორ განიცდიდი და ნერვიულობდი, როცა შენს სიმართლეში ვერაფერს არწმუნებდი და რამდენ რამეს აკეთებდი მომავალი თაობის, პატარა გოგონების გადასარჩენად, მაშინ როცა, არც თვითონ იყავი ასაკით დიდი...

- იმ პერიოდში შანსი გამიჩნდა, თქვენ გაგიცანით, გაეაქტიურდი და დავიწყე მუშაობა ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში, სადაც თავიდან მხოლოდ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ბიჭები იკრიბებოდნენ. ეს ჯერ კიდევ ის დრო იყო, ქალებსა და გოგონებს არჩვენებზეც რომ არ უშვებდნენ და ხმის მიცემის საშუალებას არ აძლევდნენ ოჯახის წევრები. გოგონებს მხოლოდ არასრული განათლების მიღების შანსი ჰქონდათ, ცხრა კლასის დასრულების შემდეგ იძულებით ათხოვებდნენ. მე კი მიხლოდა, მესწავლა, მემუშავა, საკუთარი ცხოვრება თავად განმეზღვრა და ჩემი ახლობელი ადამიანებიც დამეცვა, რათა ამ მახინჯი მენტალიტეტის მსხვერპლნი არ გამხდარიყვნენ.

შეეძლოთ საკუთარი ინტერესების დაცვა, ვიდრე ამას აზერბაიჯანულ სკოლებში აზერბეზდნენ. აზერბაიჯანულ სკოლებში ყოველთვის იყო გარკვეული ჩარჩო, რომლის იქითაც ვერსად გაიქცეოდი. მაშინ ინტერნეტი ჯერ კიდევ ადენად არ იყო განვითარებული, მაგრამ ძალიან ბევრს ვკითხულობდი, ბევრ ინფორმაციას ვიღებდი, აქტივობებში ვმონაწილეობდი, გადაწყვეტილი მქონდა, თავი არავისთვის დამეჩაგვრინებინა და არც ჩემი დის დაჩაგვრის უფლება მიმეცა მშობლებისთვის. მეცხრე კლასიდან მის სკოლიდან გამოყვანას და გათხოვებას გეგმავდნენ, მაგრამ სასტიკად შევეწინააღმდეგე. ბევრი ჩხუბისა და ახსნა-განმარტების შემდეგ, მშობლები დავეთანხმე, რომ თუ მაინც სწავლის გაგრძელება გვსურდა, ისინი ჩვენს სწავლაში ერთ თეთრსაც არ გადაიხდიდნენ... შედეგად, ჩემმა დამ დაამთავრა ეკონომიკური ფაკულტეტი თბილისში, შემდეგ კი გრანტი მოიპოვა და სპეციალური პროგრამით თურქეთში მაგისტრატურაში განაგრძო სწავლა. ის ახლა კერძო კომპანიაში მუშაობს, სოციოლოგია,

ჯანმრთელობის პრობლემით იბადებოდნენ და ვფიქრობ, ეს არის ერთი მიზეზი, რის გამოც ჩვენს ხალხს თვალი აეხილა. მიხარია, რომ მახინჯი სტერეოტიპები ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იმსხვრევა. ახლა უკვე აქტიურად სწავლობს და შრომობს აზერბაიჯანელი ახალგაზრდობა და როცა მათ წარმატებებს ვეცნობი სოციალურ ქსელებში, ძალიან მიხარია. ათეულ წელზე მეტია, რაც ამის გამო ბრძოლა დავიწყეთ და აი, შედეგიც! ამავე დროს, ძალიან გულსატკეპნი ფაქტია, რომ ზოგან მაინც ხდება ისეთი გამოუსწორებელი დანაშაული და ტრაგედიები, რაც ახლა მოხდა.

თხოვნა მაქვს ერთი, მინდა განათლების სისტემას მივმართო, მინდა სახელმწიფოს მივმართო და მინდა ამ პატარა გოგონების მშობლებს მივმართო: მშობლებო, ბავშვი თქვენი ნივთი არ არის. ის თქვენი შეილია, მაგრამ, ამავე დროს, არის საქართველოს მოქალაქე და მას ქართული სახელმწიფოს კანონი იცავს. სოციალური ქსელი ყველას აქვს, ერთი სიტყვა დაწერეთ, მხოლოდ ერთხელ დაგვიძახეთ და

თქვენს დასახმარებლად, მაშინვე გვერდით გაეჩნდებით! თუ ვინმე გემუქრებათ, ვინმე რამეს გაიძულვებთ, ამის გაცხადება ახლა ხომ ყველაზე მარტივია, ჩვენ, ყველანი დაგეხმარებით, ოღონდ, ხალხო, ბავშვი არ გაანადგუროთ, ბავშვს ბავშვობა არ წაართვათ, განათლების, ჯანმრთელობის, სიცოცხლის უფლება არ წაართვათ. ვთხოვ ჩემი თაობის ყველა მშობელს, - არ დაიჯეროთ, დედებო, ეს არ არის ტრადიცია, ეს არის დამახინჯებული მენტალიტეტი, რომელსაც მსხვერპლი მოაქვს! ასე არ მოექცეთ საკუთარ შეილებს! ვეროპისკენ მივდივართ, ჩვენს სოფლებში კი რა ხდება!

შესაბამის ორგანოებს ვთხოვ, მეტი იმუშაონ იმაზე, რომ მსგავსი ტრაგედია აღარ დატრიალდეს!

ნონა ძარქაშაძე



დავდიოდით სკოლებში, ოჯახებში, ბევრს ვესაუბრებოდით გოგონების მშობლებს და ძალიან დიდი ძალისხმევით შედეგად, თანდათან გოგონებიც მოვიზიდეთ. გავხსენით ქართული და ინგლისური ენის კურსები, დავიწყეთ ტრენინგები, სემინარები, სადაც, პირველი რიგში, მოზარდებს ბავშვთა უფლებების ვასწავლიდით... ბევრი გოგონა გადავარჩინეთ, ვისაც მშობლები გათხოვებას აიძულებდნენ და ბევრს მივეცი სწავლის გაგრძელების საშუალება.

- შენი ოჯახის დაარწმუნება როგორ შეძელი?

- დედაც და მამაც სოფლიდან არიან და მათი წარმოდგენით, გოგო უნდა გათხოვდეს 15-16 წლისა, ოჯახი უნდა შექმნას. ერთადერთი, რაშიც გამიმართლა, ის იყო, რომ რუსულენოვანი სკოლაში ვსწავლობდი, სადაც ცოტა სხვა მენტალიტეტის ბავშვები იყვნენ, მეტად

ჰყავს მეუღლე და ძალიან საყვარელი პატარა გოგონა...

- მასხვის, ნათესავთა შორის ქორწინებასაც სასტიკად ეწინააღმდეგებოდი, რომელიც თქვენს რელიგიაში მისაღებია...

- ნათესავების ქორწინება ჩემთვის მიუღებელია, რადგან დეიდაშვილს თუ მამიდაშვილს ადამიანი და-ძმასავით უყურებს. გარდა ამისა, ასეთი ქორწინება მიუღებელია სისხლის აღრევის თვალსაზრისითაც. თუმცა, ამ ნათესაურ კავშირს ჩვენი რელიგია აღიარებს და ნორმად მიიჩნევს, ამიტომაც ბევრი არ მინდა ვილაპარაკო, მაგრამ ერთს ვიტყვი, რომ ძალიან შემცირდა ნათესავთა შორის ქორწინებები ეთნიკურად აზერბაიჯანულ ოჯახებში. თითქმის ათი წელია, აღარც გამოვიდა, რომ ქვემო ქართლში მსგავსი ქორწინება შემდგარიყო, რადგან ასეთ დროს, არცთუ იშვიათად, ბავშვები

განივიან ნათანიაჰუ: „ჩვენ აუსილაბლად გაჰიარჯჰვითი!..“

გამართლდა იმ პოლიტოლოგების ვარაუდები, რომლებიც სამყაროში ფართომასშტაბიანი ომების დაწყებას ვარაუდობდნენ. თუმცა, უჭირდათ დაკონკრეტება, რომელ რეგიონში აფეთქდებოდა ნაღმი, სახელად „ომი“. საბედნიეროდ, დიდ ბირთვულ ომამდე საქმე ჯერ არ მისულა, მაგრამ თუ ასე განაგრძეს მსოფლიო პოლიტიკოსებმა მოღვაწეობა, გამოიციხული არც არაფერია, რადგან სამყაროს, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატების როგორც შინაური, ასევე საგარეო პოლიტიკა, არაპროგნოზირებადია, — ასე მიანიშნავს ანალიტიკოსებს.

სამწუხაროდ, ომის კოცონი იქ აგიზგიზდა, სადაც ამ ეტაპზე ნაკლებად ელოდნენ — ახლო აღმოსავლეთში. რეგიონს სტაბილურად არაფერია განიხილავს, რადგან ზშირად ხდება ტერაქტები და ცალკეული შეტაკებები. განსაკუთრებით არასტაბილური ვითარებაა ისრაელსა და მეზობელ არაბულ ქვეყნებს შორის. დღემდე ზშირად ხდებოდა შეტაკებები ისრაელის ძალოვან სტრუქტურებსა და პალესტინელებს შორის, ძირითადად, ღაზის სექტორში. თუმცა,

მოულოდნელობის ფაქტორმა კარგად იმუშავა პალესტინელების სასარგებლოდ. „ჰამასმა“ ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ტერიტორია დაიკავა, საზღვრის პირას ააფეთქეს პოლიციის შენობა, ხელთ იგდეს ისრაელის შეიარაღებაში მყოფი უახლესი მოდელის ტანკები და სხვა მძიმე ჯავშანტექნიკა. ისრაელის სამხედროებსა და პოლიციელებს შორის არის მსხვერპლი.

ღაზის სექტორის საზღვრის სიახლოვეს მიმდინარეობდა ელექტრონული მუსიკის ფესტივალი, რომელსაც რამდენიმე ათასი ადამიანი ესწრებოდა. „ჰამასის“ მებრძოლებმა არც ახალგაზრდები დაინდეს და ცეცხლი გაუხსნეს. არიან დაღუპულები. იმ ადგილზე უკვე აღმოაჩინეს 260 ცხედარი, მათ შორის, ტურისტებიც. მძევლად აიყვანეს და ღაზის სექტორში გადაიყვანეს ათეულობით ახალგაზრდა. მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია.

განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს „ჰამასის“ მებრძოლებმა ტყვედ აყვანილი სამხედროების მიმართ. წამების გარდა, როგორც იუწყებიან, იყო მათი გაუპატიურების ფაქტები. ჯარისკაცების

გამოცხადდა რეზერვისტების მობილიზაცია. სამხედრო ავიაციამ დაბომბა ღაზის სექტორი, რითიც საგრძნობი ზარალი მიაყენეს პალესტინელებს. რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპა, არის მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობაში ისევე, როგორც ისრაელში. ქვეითებმა ცალკეული რაიონებიდან განდევნეს „ჰამასის“ მებრძოლები. 50 წლის განმავლობაში პირველად გამოაცხადა ისრაელმა საომარი მდგომარეობა. ზუსტად ნახევარი საუკუნის წინათ ისრაელსა და რამდენიმე არაბულ ქვეყანას შორის ომი მიმდინარეობდა. იმ პერიოდს „განივიანის დღედაც“ მოიხსენიებენ. ღაზის სექტორი დაზურულ, სამხედრო მოქმედებების ზონად გამოაცხადა ნეთანიაჰუმ. მოსახლეობისადმი მიმართვისას მან განაცხადა: „...ჩვენ აუსილაბლად გავიმარჯვებთ, ნანგრევებად ვაქცევთ ყველა იმ ადგილს, სადაც ტერორისტები არიან გამაგრებული“.

დროებით წარმატებას, რომელსაც „ჰამასმა“ მიაღწია, ღაზის სექტორშიც არ ელოდებოდნენ. პალესტინელების გამარჯვების ცოტა ვინმეს თუ სჯერა. მოულოდნელობის ფაქტორით მიღწეული დროებითი წარმატებით მხოლოდ ავტორიტეტი შეუღალხეს ისრაელის არმიას. ნეთანიაჰუმ დახმარებისთვის აშშ-ს მიმართა. სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ მათ აქვთ საშუალება და მალე გადასცემენ დახმარებას. საგანგებო განცხადება გააკეთა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა: „...ჩვენ არ მივატოვებთ ისრაელს და გავუზრდით დახმარებას“. მან ტრადიციულად კითხვებს არ უპასუხა და ბრიფინგი დატოვა. თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა ხმელთაშუა ზღვისკენ გაგზავნა ავიამზიდი „ჯერალდ ფორდი“ სრული საბრძოლო შეიარაღებით.

მხარდაჭერის პარალელურად, მსოფლიოს წამყვანი პოლიტოლოგები და სამხედრო ექსპერტები გაოცებას ვერ მალავენ, როგორ მოახერხა „ჰამასმა“, თუნდაც მოულოდნელობის ფაქტორით მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი არმიისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება. საინტერესოა, როგორ გამოეპარა დაზვერვის სოლიდურ ორგანიზაცია „მოსადს“ ომისთვის პალესტინელების სამზადისი. დღემდე მიიჩნევა, რომ „მოსადს“ სამყაროში ყველას და ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის. ყველა კითხვას პასუხი საომარი მოქმედებების შემდეგ გაეცემა, მაგრამ ექსპერტები უკვე ამბობენ, „ჰამასმა“ „მოსადს“



სილა გააწნაო. აშშ-ის დაზვერვის ყოფილმა თანამშრომელმა სკოტ რიტერმა განაცხადა, რომ აშშ-ის დაზვერვა ხელოვნურ ინტელექტს დაყვრდნო, რომელმაც ვერ შეძლო დაეფიქსირებინა „ჰამასის“ სამზადისი. პალესტინელებმა მოახერხეს ფარულად მოქმედება.

ისრაელის დაზვერვისა და თავდაცვის სისტემის ჩავარდნაზე ისიც მეტყველებს, რომ ღაზის სექტორის საზღვართან ოცზე მეტი საიდუმლო გასასვლელი აღმოაჩინეს, რომელთა არსებობა არ იცოდნენ. შეფასებები გააკეთეს პოლიტიკოსებმაც. აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა შანსი გამოიყენა და კვლავ გააკრიტიკა ჯო ბაიდენი. მისი შეფასებით, „ჰამასმა“ იმიტომ გაბედა ისრაელზე თავხედური თავდასხმა, რომ აშშ-მა საერთაშორისო არენაზე პოზიციები დათმო. ექსპერტებიც ეთანხმებიან ტრამპს — მსოფლიოში უკვე აღარავის ეშინია ამერიკული ხელკეტისო, აცხადებენ.

გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე იმსჯელებს ისრაელში მიმდინარე ომზე, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ მიიღეს და მხოლოდ დიალოგისკენ მოუწოდეს დაპირისპირებულ მხარეებს.

ნატო-ში ამ დღეებში გაიმართება მსჯელობა. პოლიტოლოგების შეფასებით, დიპლომატიურ ნაბიჯებზე ლაპარაკი ამ ეტაპზე ზედმეტია. მათივე შეფასებით, საბრძოლო მოქმედებები გაგრძელდება. ორივე მხარეს ბევრი დაღუპული და დაჭრილია, მათ შორის, ბავშვები.

სენსაციური ინფორმაცია გაავრცელეს არაბულმა გამოცემებმა: „ჰამასის“ ხელმძღვანელებმა

მაღლობა გადაუხადეს უკრაინელ იარაღით მოვაჭრეებს შეიარაღებისთვის. აშშ-ში კონგრესმენები ითხოვენ, დაიწყოს მოკვლევა, როგორ და საიდან აღმოაჩნდა „ჰამასის“ ამერიკული შეიარაღება, უკრაინიდან, რომელსაც იარაღი გადასცეს, თუ ავღანეთიდან. ექსპერტების მტკიცებით, პალესტინელებმა ორივე ქვეყნიდან შეიძინეს შეიარაღება. საგარეოდ, ახლო მომავალში ბევრ საინტერესო ამბავს გავიგებთ იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

ისტორიული მოვლენა მოხდა გასულ კვირას აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში — თანამდებობიდან გადააყენეს კონგრესის სპიკერი კევინ მაკარტი. აქამდე მხოლოდ ერთხელ, 1910 წელს იყო მცდელობა, გადააყენებინათ სპიკერი, მაგრამ უშედეგოდ. ახლა მაკარტის თანაპარტიელები აუშხედრდნენ, დემოკრატიკულად კავშირი დასდეს ბრაზილის ეშინია ამერიკული ხელკეტისო, აცხადებენ.

მაბეზარებელი ურთიერთობა ევროკავშირის ქვეყნებს შორის. პოლონეთი კვლავ ითხოვს გერმანიისგან 1,5 ტრილიონ ევრო რეპარაციას მეორე მსოფლიო ომში მიყენებული ზარალისთვის. უნგრეთი და სლოვაკეთი უარს აცხადებენ უკრაინისთვის ყოველგვარ დახმარებაზე, რომლებსაც, შესაძლოა, სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ.

ევროკავშირის ხელმძღვანელები შარდ მიშელი და ურსულა ფონ დერ ლაიენი ერთმანეთს უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ. ორგანიზაციის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის, საფრანგეთის დედაქალაქი, ერთ დროს სიფარული-სა და მოდის ქალაქად აღიარებული პარიზი ვითრებისა და ბაღლინჯოების ქალაქად გადაიქცა და ეპიდემიის სახე შეიძინა. ამის თაობაზე შემოთავაზებული პარიზელები სოცქსელებში იუწყებიან.



ფართომასშტაბიან ბრძოლამდე საქმე არ მისულა... „...თვრამეტი თვის განმავლობაში ჩვენ მივალწიეთ იმას, რომ ახლო აღმოსავლეთში ისეთი სიმშვიდეა, როგორც არ ყოფილა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტის თანამშემწემ თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში ჯეიკ სალივანმა 29 სექტემბერს ტელეინტერვიუში. რატომ იყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი იმედიანად, ძნელია თქმა.

...შაბათის დადგომისთანავე ისრაელის ქალაქებს მოულოდნელად შეუტია დაჯგუფება „ჰამასმა“, რომელსაც თელ-ავივში ტერორისტულად მიიჩნევენ. ღაზის სექტორიდან „ჰამასმა“ განახორციელა ელვისებური შეტევა, ერთდროულად ჰაერიდან, ხმელეთიდან და ზღვიდან. ბრძოლის პირველივე დღეს „ჰამასმა“ 5 ათასი რაკეტა ესროლა ისრაელის ქალაქებს. საპაერო თავდაცვის სისტემამ, რომელიც „რკინის თაღის“ სახელით არის ცნობილი და შეუვალად მიიჩნევა, ვერ შეძლო ყველა რაკეტის განეიტრალება. ისრაელელი სამხედროების განმარტებით, „რკინის თაღს“ შეუძლია ერთდროულად რამდენიმე ასეული რაკეტის განეიტრალება, მაგრამ ამჯერად ერთბაშად ხუთი ათასი რაკეტა ესროლეს.

გარდა, სასტიკად ეპრობოდნენ ყველა დატყვევებულს, მათ შორის, ქალებსაც აწამებდნენ. მძევლებს შორის არიან მცირეწლოვანი ბავშვებიც, რომლებსაც ასევე სასტიკად ეპრობობან. ექსპერტების შეფასებით, მძევლები „ჰამასის“ დაპატიმრებულ პალესტინელებზე გასაცვლელად სჭირდებათ. ისრაელის ასეულობით მოქალაქის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

არაბულმა ქვეყნებმა ზეიმით აღნიშნეს პალესტინელების შეტევა. ეგვიპტეში ერთმა პიროვნებამ ცეცხლი გაუხსნა ისრაელელ ტურისტებს. რამდენიმე მათგანი დაიღუპა, მათ შორის, ეგვიპტელი გიდი. ლიბანის სამხედრო დაჯგუფება „ჰესბოლამ“ ჩრდილოეთიდან ნაღმტყორცნიებიდან გაუხსნა ცეცხლი ისრაელის ქალაქებს. პოლიტოლოგებს აშინებთ ის გარემოება, რომ შესაძლოა, სხვა ქვეყნებიც დაეხმარონ პალესტინელებს და ომი გამოუცხადონ ისრაელს. მსგავს შემთხვევაში კატასტროფული შედეგი დადგება მთლიანად რეგიონისთვის.

„ჰამასის“ შეტევის შემდეგ საგანგებო თათბირი გამართა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ, რის შემდეგ ოპერაცია „რკინის მახვილის“ დაწყება გამოაცხადა. საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანეს შეიარაღებული ძალების სრული შემადგენლობა.



ერთნი ჯინ შარპს ფილოსოფოსსა და თავისუფლებისთვის მებრძოლს უწოდებენ, სხვები კი ბრალს სდებენ საბჭოთა კავშირის დანგრევაში და ფერადი რევოლუციებისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობების ავტორად მიიჩნევენ. ამერიკელი სოციოლოგის წიგნები ათეულობით ენაზე თარგმნილი, მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომი კი — „დიქტატურიდან დემოკრატიისკენ“ მსოფლიოს ოპოზიციონერებისთვის ბიბლიად იქცა.

როგორ აქცია შარპმა მამათმა განდისა და მარტინ ლუთერ კინგი-უმცროსის სწავლებები რევოლუციის რეცეპტების კრებულად, რა დაეხმარა მის მიმდევრებს, შეექმნათ პროტესტების ექსპორტის ქსელი და რა როლი შეასრულა ამერიკელმა სოციოლოგმა სხვადასხვა ქვეყნებში ხელისუფლების დამხობაში?..

რია ეს თუ ცოტა, ვერ გეტყვით, მაგრამ 2004 წლის შემოდგომაზე მის წიგნში აღწერილი ტაქტიკების მიხედვით რომ ვითარდებოდა მოვლენები, ამას წინ ვერაფერი დაუდგება.


საპროტესტო მოძრაობის სიმბოლური ფერიც შარპის წიგნიდანაა: არაძალადობრივი ბრძოლის მეთოდი №18.

„პორას“ მონაწილეები, რომლებიც ფერადი რევოლუციის სათავეებთან იდგნენ, შარპის წიგნს ბიბლიას უწოდებდნენ და აქტიურ კონსულტაციებს მართავდნენ სერბული „ოტპორის“ წევრებთან, რომლებმაც რამდენიმე წლით ადრე წარმატებით გამოიყენეს შარპის მეთოდიკა სლობოდან მილოშევიჩის მთავრობის დასამხობად.

ოთახია პირველ სართულზე, ბოსტონში, სადაც შარპი ცხოვრობდა. მას რამდენიმე ათეული თანამშრომელი ჰყავდა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 2018 წელს კი სულ ორი-სამი. „მე, მოხუც ადამიანს, რომელსაც სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილებაც კი არ ძალმიძს, მომასწერენ ამ მოვლენებს!“ — ამბობდა ხოლმე შარპი, როცა უკანასკნელი ათწლეულების რევოლუციურ მოვლენებში მის მონაწილეობაზე საუბარს იწყებდნენ.

„არაძალადობის მაქიაველი“

ჯინ შარპი 1928 წლის 21 ივლისს დაიბადა პროტესტანტი მქადაგებლისა და სკოლის მასწავლებლის ოჯახში. 1949 წელს



ილუზიული მისიონარი შარპი - ფერადი რევოლუციების გეგმავი



2004 ბოსტონის ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტის ელექტრონულ ფოსტაზე უკრაინული ახალგაზრდული მოძრაობის „პორას“ წერილი მიიღეს. ახალგაზრდა ოპოზიციონერები იწერებოდნენ, რომ დამოუკიდებლად თარგმნეს ინსტიტუტის დამარსებლის ჯინ შარპის წიგნი „დიქტატურიდან დემოკრატიისკენ“, მაგრამ მის გამოსაცემად თანხები არ ჰქონდათ. შარპმა უკრაინულ ახალგაზრდებს 6 ათასი დოლარი გაუგზავნა. ამ ფულით წიგნის 12 ათასი ეგზემპლარი დაბეჭდეს.

მოგვიანებით შარპი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუციაში“ მისი ღვაწლი მხოლოდ ამ თანხის გაღებით შემოიფარგლებოდა. ბევ-

ჯინ შარპს უკანასკნელი ათწლეულების ფერადი რევოლუციებისა და საპროტესტო მოძრაობების დემიურგად მიიჩნევენ — უკრაინიდან საქართველომდე და ეგვიპტიდან ვენესუელამდე და ამერიკის ცენტრალური სადაზვერავო სამსახურისა და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლობაში სდებენ ბრალს. მაგრამ შარპი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ მის როლს ამ მოვლენებში აშკარად გადაჭარბებულად წარმოაჩენენ.

უნდა აღინიშნოს, რომ აინშტაინის ინსტიტუტი, ფერადი რევოლუციების მამის შტაბ-ბინა ძლიერი ორგანიზაციის შთაბეჭდილებას, რომელსაც რეჟიმების დამხობა შეუძლია, ნამდვილად არ ტოვებს. ეს იმ სახლის რამდენიმე

ოპიოს უნივერსიტეტის სოციოლოგიის ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა, ორი წლის შემდეგ კი იქვე დაამთავრა მაგისტრატურა. იმ დროისთვის შარპი უკვე გატაცებული იყო არაძალადობრივი წინააღმდეგობის კონცეფციით, რამაც დიდი გავლენა იქონია მის შეხედულებებზე: კორეის ომის დროს (1950-1953) მან თავი აარიდა სამხედრო სამსახურს, რის გამოც ორი წლით პატიმრობა მიესაჯა, მაგრამ ვადადმდე, 9 თვის გასვლის შემდეგ გაათავისუფლეს.

ციხეში შარპმა მიმოწერა დაიწყო ალბერტ აინშტაინთან, ფიზიკაში ნობელის პრემიის ლაურეატთან და გამოჩენილ პაციფისტთან. მეცნიერი აღფრთოვანებული იყო 25 წლის ახალგაზრდის საქციელით და დათანხმდა, წინასიტყვაობა დაეწერა მისი მონოგრაფიისთვის მამათმა განდის არაძალადობრივი ბრძოლის მეთოდების შესახებ.

წიგნი 1960 წელს გამოიცა, აინშტაინის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ, 1983 წელს შარპმა ბოსტონში დააარსა არაკომერციული ორგანიზაცია, რომელსაც დიდი ფიზიკოსის სახელი უწოდა.

გციხიდან გაათავისუფლების შემდეგ შარპი რამდენიმე ხანს ნიუ-იორკში ცხოვრობდა და ცნობილი ამერიკელი პაციფისტის აბრაჰამ მასტის მდივნად მუშაობდა. 1955 წელს შარპი ლონდონში გადავიდა და პაციფისტური ჟურნალის „მსოფლიოს ახალი ამბების“ (World News) რედაქტორის თანამშემდეგ დაიწყო მუშაობა, რის შემდეგაც ოსლოში გადაბარდა. იქ მან კვისლინგის რეჟიმის (რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ნორვეგიის კოლაბორაციონისტული მთავრობის მეთაური იყო) სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის გამოცდილების შესწავლა დაიწყო. 1968 წელს შარპმა ოქსფორდის უნივერსიტეტში დაიწვა დისერტაცია, 1973 წელს კი გამოაქვეყნა თავისი მთავარი ნაშრომი — სამტომეული „არაძალადობრივი ქმედებების პოლიტიკა“.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ შარპი ასწავლიდა დარტმუთის მასაჩუსეტის უნივერსიტეტში, შემდეგ კი არაძალადობრივი სანქციების შესახებ კურსს პარვარდ-

ში კითხულობდა. მისი ერთ-ერთი მსმენელი აღმოჩნდა ამერიკელი თადარიგის პოლკოვნიკი რობერტ ჰელვი, ვიეტნამის ომის ვეტერანი, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების მიღწევის არაძალადობრივი იდეებით განიმსჭვალა და შარპს დაუმეგობრდა. ეს შეხვედრა ფერადი რევოლუციების ისტორიის პროლოგად იქცა.

1993 წელს ჰელვიმ სოციოლოგი ბირმაში მიიწვია. პოლკოვნიკი 1980-იან წლებში აშშ-ის საელჩოს სამხედრო ატაშედ მუშაობდა იანგონში. იგი ადგილობრივი ანტი-სამთავრობო მოძრაობა „კარენის ნაციონალური კავშირის“ კონსულტანტი გახდა, რომელიც კარენებისგან (ადგილობრივი ერი) შედგებოდა. ისინი ბირმის სამხედრო რეჟიმთან ათწლეულების განმავლობაში სისხლისმღვრელ ომს აწარმოებდნენ, მაგრამ ყოველგვარი წარმატებების გარეშე.

ჰელვიმ გადაწყვიტა, მათთვის (კარენებისთვის) არაძალადობრივი ბრძოლის მეთოდები ესწავლებინა და ამ მიზნით მიიწვია შარპი მინეპოლისში, რათა „შეეფასებინა ადგილობრივი ოპოზიციონერების მომზადების ხარისხი“. „ერთ-ერთი კომანდოსი, რომელმაც სულ ნახევარი საათი უსმინა შარპის სემინარს, შემოვიდა და მითხრა, ოცი წელია, ვომობთ და ადამიანებს ვხოცავთ, რატომ აქამდე არ ვიცოდით ეს ყველაფერი?“ — ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებდა ჰელვი.

„რემბოს“ ერთ-ერთ ნაწილში სილვესტერ სტალინეს გმირი ბირმელებს ძლიერი მუსტიტა და ტყვიამფრქვევით ეხმარება, სინამდვილეში ეს არაეფექტიანი აღმოჩნდა, ამიტომ კარენებმა შარპს მიმართეს და სთხოვეს, მოემზადებინა მათთვის სახელმძღვანელო, რომელიც მათ სამხედროების არაძალადობრივი გზებით დამარცხებაში დაეხმარებოდა.

ამერიკელი მეცნიერი დათანხმდა, მაგრამ რადგან ბირმაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში ვერ ერკვეოდა, ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა. ამგვარად, 1993 წელს გაჩნდა მონცრო წიგნი „დიქტატურიდან დემოკრატიისკენ“, რომელიც უფრო მონუმენტური ნაშრომის — „არაძალადობრივი ქმედებების პოლიტიკა“

შემცირებული ვარიანტი იყო. ახალ წიგნს ერთვოდა არაძალადობრივი ბრძოლის 198 მეთოდის ჩამონათვალი, რომლებიც შარპმა ჯერ კიდევ 1973 წელს შეკრიბა. სახელმძღვანელო ბანგოკოში მცირე ტირაჟით გამოიცა ბირმულ და ინგლისურ ენებზე. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი პოპულარობით სარგებლობდა ბირმაში, ის კარენებს სასურველის მიღწევაში ვერ დაეხმარა და მომდევნო წლების განმავლობაში მათ ბრძოლა სამხედრო საშუალებებით განაგრძეს.

მიუხედავად ბირმის წარუმატებელი გამოცდილებისა, შარპის მეთოდური სახელმძღვანელოს პოპულარობა მატულობდა. როგორ გავრცელდა წიგნი მთელ მსოფლიოში, თავად ავტორის განცხადებით, საიდუმლოდ დარჩა. „ბანგოკოში დაბეჭდილი ინგლისურენოვანი წიგნები ადგილობრივ მაღაზიაში იყიდებოდა, ის ინდონეზიელმა სტუდენტმა შეიძინა და ჯაკარტაში წაიღო თან. მუსულმანური თემის მხარდაჭერით ამ წიგნის გამოყენება დაიწყო ინდონეზიის დემოკრატიულმა ოპოზიციამ, ქვეყანა ზომი პერიოდში სამხედრო დიქტატურის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა“, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ჯინ შარპმა.

შარპის სახელმძღვანელო ათეულობით ენაზე ითარგმნა, ზოგიერთ ენაზე არაერთხელ, და ავტორის თქმით, ყველა კონტინენტზე გამოიცა ანტარქტიდის გარდა. გამოცემა „დიქტატურიდან დემოკრატიისკენ“ სამოქმედო სახელმძღვანელოდ იყენებდნენ ბალტიისპირელი დისიდენტები 1990-იანი წლების დასაწყისში, მოგვიანებით „ბულდოზერის რევოლუციის“ მონაწილეები სერბეთში 2000 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედები საქართველოში 2003 წელს და უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მომწივები 2004 წელს. წიგნის არაბული ვერსია გამოაქვეყნა ორგანიზაციამ „ძმები-მუსულმანები“ „არაბული გაზაფხულის“ მიმდინარეობისას. შარპი არაერთხელ იყო წარდგენილი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე და მას „არაძალადობის მაკიაველიც“ კი შეარქვეს.

ბელა გველმსიანი
568 90 81 22

